ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 17 ივნისი, 2021 №108 (8637) ფასი: 60 თეთრი

გიორგი ვაშაძე: „თუ აუდიტი რკინიგზაში არ შევა, ესე იგი ის წილში ჩასვეს“

გვ.2

„ივანიშვილს ურჩევნია, ისევ ღარიბაშვილი ჰყავდეს პრემიერად“

„კობახიძეს ოპოზიციის ლანძღვისა და ჩაძირვის მეტი სხვა საქმე არ აქვს. ამით ცდილობს, ერთგულება დაუმტკიცოს ივანიშვილს“

დავით ჭიჭინაძე: „20 ივნისს პარლამენტის შენობა შიგნით სავსე იყო სპეციალური დანიშნულების რაზმით და მას მომიტინგეები კი არა, ჯარი ვერ აიღებდა“

გვ.3

„ეკლესიაზე მიმდინარეობს გეგმაზომიერი შეტევა“

თამარ ჩხეიძე: „ოპოზიციისთვის უმძიმესია ერთდროული ზრუნვა მერების კანდიდატურებსა და 43%-იან მექანიზმზე“

გვ.4

გვ.3

„ოპოზიცია ოლიგარქის ბუტკას უწოდებდა პარლამენტს, მაგრამ შევიდნენ“

ანზორ ბიწაძე: „მოსახლეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებზე ისეთ პასუხისმგებლობას დააკისრებს ოპოზიციას, როგორსაც ხელისუფლებას“

ნიკა ჩიტაძე: „საქართველოს მაპს არც ნატოს შემდეგ სამიტზე მიანიჭებენ“

„საქართველო ნატოს მიმართ უფრო მომთხოვნი უნდა იყოს, მაგრამ შესაძლოა ეშინია, რომ ნატოც უფრო მეტ რეფორმას მოსთხოვს“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ირანის მოქალაქის ჯგუფმა ათეულობით მილიონი დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინა

2 დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე სტრასბურის სასამართლომ წარმოებაში მიიღო

რომან გოცირიძე: „არავინ გახარიას არ დაიჭერს“

5 10 წელი მძღოლს, რომელიც გაჩერებულ მიკროავტობუსს შეეჯახა

6 ერდოღანი: „კავკასიაში სისხლმდენი ჭრილობა შეხორცდა“

რომან გოცირიძე: „არავინ გახარიას არ დაიჭერს“

– არავინ გახარიას არ დაიჭერს, უბრალოდ აშინებენ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებით – გახარიას დაჭერა საჩუქარი იქნებოდა მისთვის წინასაარჩევნოდ.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, 20 ივნისის დანაშაულს ეს ხელისუფლება არ გამოიძიებს.

– ერთ ბედქვეშ არის გახარია და ივანიშვილი, გახარია ამხელს ივანიშვილს? – ამხელს საკუთარ დანაშაულსაც, ივანიშვილი ამხელს გახარიას? – მაშინ ეს იქით მიუბრუნდება, რადგან მის დავალებებს ასრულებდა. არავინ გახარიას არ დაიჭერს, უბრალოდ, გახარიას აშინებენ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებით, როგორიც არის ანაკლიის დახურვა, არჩევნებში ჩარევა, 20 ივნისის საქმე, შეუძლებელია ამ ხელისუფლების პირობებში იყოს გამოძიებული, მას სჭირდება ობიექტური სასამართლო ან დროებითი საგამოძიებო კომისია, სადაც შესაძლებელი იქნება ეს პროცესები იყოს გამოძიებული.

გახარიას დაჭერა საჩუქარი იქნებოდა მისთვის წინასაარჩევნოდ, ეშინია „ოცნებას“, რომ ერთი-ორი პროცენტი არ წაღლიტოს გახარიამ, მართლა გახარიას კი არ ერჩიან, საკუთარ ტყავზე ზრუნავენ, რომ გახარიამ ხმები არ წაართვას. ერთი გუნდის შიგნით მიმდინარე პროცესია, საბოლოოდ, ივანიშვილს იმის იმედი ექნება, რომ გახარიასთან, როგორც ყოფილ ვეზირთან, მოაგვარებს ურთიერთობას, – განაცხადა გოცირიძემ.

გიორგი ვაშაძე: „თუ აუდიტი რკინიგზაში არ შევა, ესე იგი ის წილში ჩასვეს“

– თუკი აუდიტის სამსახური რკინიგზაში დაუყოვნებლივ არ შევა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის წილში ჩასვეს.

ეს განცხადება ჟურნალისტებთან ოპოზიციონერმა დეპუტატმა, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ გააკეთა.

ვაშაძის თქმით, ძარცვის ისეთ დიდ მაგალითს, რასაც რკინიგზა წარმოადგენს, არ იცნობს.

– მართლა შოკში ვარ. რკინიგზა იძარცვება. მილიარდ 200-მილიონის ზარალი თითოეულმა ჩვენგანმა მიიღო. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გენერალურმა აუდიტორმა გვითხრა, რომ რკინიგზა მას აუდიტზე არ უშვებს, ხოლო მედიასთან განაცხადა, რომ თითქოს სასამართლო პროცესები მოიგეს. მათ შეუძლიათ ამხელა დიდი ძარცვა გააჩერონ, მაგრამ ეს მათთვის პრიორიტეტი არ არის. მილიარდ 200 მილიონის ძარცვა პრიორიტეტი არ არის?! – როგორც ჩანს, წილში ჩაუსვიათ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

მამუკა მდინარაძე: „ჯერ არ ყოფილა, რომ ნაცმოძრაობის და „ოცნების“ პრემიერის მიზნები ერთმანეთს დამთხვეოდეს“

– თუ კონკრეტულ რომელიმე შემთხვევაში არ არსებობს მტკიცებულებები პირის ბრალეულობის დასადგენად, ამ შემთხვევაში გამოძიება არ იწყება ხოლმე.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერ გიორგი გახარიას წინააღმდეგ გამოძიების შესაძლო დაწყებასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, შესაძლო ბრალეულობაზე სამართალდამცავები მაშინ ისაუბრებენ, თუ კონკრეტული ფაქტები ექნებათ.

– პირველად გიპასუხებთ, როგორც იურისტი. თუ კონკრეტულ რომელიმე შემთხვევაში არ არსებობს მტკიცებულებები პირის ბრალეულობის დასადგენად, ამ შემთხვევაში გამოძიება არ იწყება ხოლმე. მინიმუმ, გონივრული ეჭვი უნდა იყოს რაღაც კონკრეტული დანაშაულის. როდესაც პოლიტიკოსები საუბრობენ ძალიან საეჭვო დამთხვევებზე, მაგალითად იმაზე, რომ 2-3 დღეს, რომელსაც ითხოვდა კონკრეტული ადამიანი გადასავადებლად იმ კონკრეტული ღონისძიების და ამ დროს იყო კონკრეტული ინფორმაცია და ის 2-3 დღე სხვა მხრიდანაც იყო გახმოვანებული, ეს არის ძალიან სერიოზული.

ამაზე, ჩემი აზრით, სამართალდამცავები მაშინ ილაპარაკებენ, თუ კონკრეტული რაიმე ფაქტები ექნებათ. დამთხვევები ყოველთვის ბადებს ეჭვს, ასეთი ეჭვის საფუძველი გაგვაჩნდა. ამაზე ვისაუბრებთ და ვსაუბრობთ, მაგრამ აქამდეც არ იყო ასეთი დამთხვევები, რომ „ნაცმოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის მიზნები ერთმანეთს დამთხვეოდეს. არ იყო ასეთი დამთხვევები აქამდე, – განაცხადა მდინარაძემ.

მისი თქმით, 19 ივნისს საპარლამენტო უმრავლესობის და მინისტრთა კაბინეტის წევრების გასვლითი შეხვედრა გაიმართება.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე სამომავლო გეგმები განიხილება.

– უნდა ვისაუბროთ სამომავლო გეგმებზე, განსაკუთრებით, პრემიერ ღარიბაშვილის 10– წლიან სამოქმედო გეგმაზე, რომელზეც ის მუშაობს, რომელზეც მინისტრთა კაბინეტის შესაბამისი ექსპერტები მუშაობენ. ჩვენ გვექნება მსჯელობა და დისკუსია ამ კონკრეტულ გეგმაზე.

ეს შეხვედრა დიდი ხნის წინ იგეგმებოდა. ჩვენ აქ ბევრ საკითხს გავივლით, ამ ქვეყანაში ბევრი პრობლემაა დარჩენილი, რომელსაც სჭირდება სწორი სამომავლო ხედვები, რომელიც ჩვენ საბოლოო ჯამში მიგვიყვანს არა მხოლოდ თითოეული მოქალაქის ყოფითი პრობლემების მოგვარებასთან, არამედ ასევე უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტასთან, დეოკუპაციის გზაზე სწორ სვლასთან, საბოლოო ჯამში დეოკუპაციასთან და ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობასთან მოგვიყვანს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება ერთი დიდი სამუშაო დღე, სადაც ამ საკითხებზე, რასაც დრო საშუალებას მოგვცემს, ვისაუბრებთ, ვიმსჯელებთ. პრემიერ ღარიბაშვილის პარლამენტში მოსვლამდე, ეს საკითხები დეტალურად არის გასავლელი, – განაცხადა მდინარაძემ.

კახა კუჭავას გახარიას პარტიაზე ეცინება

– პროცესის ნებისმიერ მონაწილე ადამიანს, რომელიც შეიძლება გამოძიების ქვეშ იყოს, მოუწევს პასუხების გაცემა.

ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ ჟურნალისტის შეკითხვას, უნდა დაიბაროს თუ არა საგამოძიებო უწყებამ ყოფილი პრემიერი, პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარია გამოკითხვაზე 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით კობახიძის განცხადებაზე.

კითხვაზე, რატომ გააქტიურდა „ქართული ოცნების“ კრიტიკა გიორგი გახარიას მიმართ და ახლა რატომ გაჩნდა კითხვის ნიშნები მის მიმართ, კუჭავა პასუხობს, რომ ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია.

– პროცესს რომ მივადევნოთ თვალი, ეს არ არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ კრიტიკა, ეს არის კრიტიკული განცხადებები ყველა მხრიდან და ალბათ, ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია, რომლის მონაწილე არის ყველა პოლიტიკოსი და პოლიტიკური ჯგუფი. პოლიტიკური ჯგუფი როდესაც განაცხადებს, რომ ის შემოდის პოლიტიკაში, ოპოზიციაში, რა თქმა უნდა, მას უჩნდება კრიტიკული კითხვები და ცდილობს, რომ კრიტიკული პოზიცია დაიჭიროს, შესაბამისად კრიტიკა მოჰყვება მეორე მხარიდან , – განაცხადა კუჭავამ.

ამასთან, ჟურნალისტის კითხვაზე, გეშინიათ გახარიას პარტიის? პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა:

– გამეცინა.

ჭიათურის გედების ტბაზე პატრულმა 7 დაგლეჯილი გედი იპოვა

„გედების ტბაზე“ მომხდარ სავარაუდო ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო. ინფორმაციას ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

15 ივნისს, გვიან ღამით, პატრულირების დროს, პოლიციამ 7 დაგლეჯილი გედი აღმოაჩინა. სამწუხაროდ, მხოლოდ 1 გედის გადარჩენა მოხერხდა.

„50 წლის განმავლობაში, „გედების ტბაზე“ მსგავსი რამ არ მომხდარა. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს შეგნებულ ვანდალიზმთან, რასაც სამართალდამცველები დაადგენენ. მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკვლევა უკვე დაიწყო.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია წუხს მომხდართან დაკავშირებით, მერის დავალებით, პროცესში ჩართულია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური. სიმართლის დასადგენად ყველაფერი გაკეთდება. დაშავებულ გედს კი, ვეტერინარი უკვე მეთვალყურეობს“ – აღნიშნულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციაში.

გახარიას ბრიუსელში ნატალია საბანაძე ახლავს

გახარიას ბრიუსელში ნატალია საბანაძე ახლავს. პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გიორგი გახარიამ ბრიუსელში დღეს ევროპარლამენტარებთან შეხვედრები გამართა.

პარტიის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ფოტოდან ჩანს, რომ ექსპრემიერს შეხვედრებზე ბრიუსელში საქართველოს ყოფილი ელჩი ნატალია საბანაძე ახლავს.

ნატალია საბანაძე თანამდებობიდან მიმდინარე წლის 21 მარტს გადადგა.

ცნობისთვის, საბანაძემ საქართველოს ხელისუფლება დემოკრატიული კურსის გადახვევასა და ქვეყნის არასწორი მიმართულებით განვითარებაში დაადანაშაულა.

– ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ პროევროპელია, მაგრამ ამის თქმა არ არის საკმარისი. პროევროპელი უნდა იყო, – განაცხადა გადადგომის შემდეგ საბანაძემ გავლენიან ფრანგულ გამოცემასთან.

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე სტრასბურის სასამართლომ წარმოებაში მიიღო

დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო – ინფორმაციას ბრალდებულის ადვოკატი, დავით ჯანდიერი ავრცელებს:

– საჩივრიდან გამომდინარე, სასამართლოს ყველა ძირითად საკითხზე აქვს ყურადღება გამახვილებული.

მომჩივნის ოჯახის თხოვნით, შევხვდები მას გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 12 საათზე, რის შემდეგად გავაკეთებ მედიისთვის კომენტარს. მომჩივანთან დაკავშირებული ფაქტები უკავშირდება კონვენციის მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) და მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) სავარაუდო დარღვევას. დეკანოზთან პირველივე შეხვედრაზე, ჩემი თხოვნით, შევთანხმდით, რომ საჩივრის შინაარსზე (რაც ევროპული სასამართლოს გარდა ჩვენ ორისთვის იყო აქამდე ცნობილი), შემდგომ პროცედურებამდე საუბარი არ გვექნებოდა. ხვალ შესაძლებლობა მექნება ინფორმაცია მოგაწოდოთ, ასევე ისილოთ სასამართლოს ვებ გვერდზე, – წერს ჯანდიერი.

გიორგი მამალაძის სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი 2019 წლის 31 იანვარს გაიგზავნა.

მამაკაცი წერეთელზე პოლიციის შენობიდან გადახტა

გუშინ, 17 ივნისს, ღამით თბილისში, პოლიციის ერთ-ერთი განყოფილებიდან მამაკაცი გადახტა. შემთხვევა წერეთლის გამზირზე მოხდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, მამაკაცი განყოფილებაში ყოფილი მეუღლის საჩივრის საფუძველზე შემაკავებელი ორდერის გამოწერის მიზნით დაიბარეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ყოფილ ცოლზე ძალადობდა, რის გამოც ქალმა სამართალდამცველებს მიმართა.

მოულოდნელად ის შენობის მე-2 სართულიდან გადახტა. დაშავებული მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ის კლინიკაში გადაიყვანეს.

მამაკაცს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები არ აქვს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილს ურჩევნია, ისევ ღარიბაშვილი ჰყავდეს პრემიერად“

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძეს ოპოზიციის ლანძღვისა და ჩაძირვის მეტი სხვა საქმე არ აქვს. ამით ცდილობს, ერთგულება დაუმტკიცოს ივანიშვილს“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, ირაკლი კობახიძე გახარიას ბოლომდე ჩაძირვას გააგრძელებს და რატომ აკეთებს ამას?

– კობახიძეს უნდა, რომ თავისი მნიშვნელობა დაუმტკიცოს „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილს. საკუთარ თავზე აიღო მისიის ბოლომდე მიყვანა. თითქოს, გახარია იყო არა მათ მიერ დანიშნული პრემიერი, არამედ ოპოზიციის. გახარია მსოფლიოში საუკეთესო კრიზისმენეჯერად კობახიძემ დაასახელა და არა მე. კობახიძეს ამ ყველაფერს შიში ალაპარაკებს. მას ეშინია, რომ მის მიერ ჩატარებული საარჩევნო კამპანია შემოდგომაზე ფიასკოთი დასრულდება.

არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება კობახიძის ასე გააქტიურების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყოს, რომ მას უნდოდეს ირაკლი ღარიბაშვილის ადგილი. არჩევნების წინ ჩატარდეს ყრილობა და ღარიბაშვილი ჩაანაცვლოს. შეიძლება ეს იყოს მიზანი. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ღარიბაშვილი, განსხვავებით მისი წინა პრემიერობისა, დღეს გაცილებით კონსტრუქციულად ცდილობს წარმოჩნდეს. ის, აშკარად არ შედის არც ერთ მხარესთან ღია დაპირისპირებაში. წარმატებული ვიზიტი ჰქონდა მას სომხეთსა და აზერბაიჯანში. სახელმწიფოს ფუნქციის დაბრუნებაზე დაიწყო ზრუნვა. სერიოზულ პოლიტიკაზე უფრო აკეთებს აქცენტს, ვიდრე შიდა პარტიულ თუ გუნდურ პოლიტიკაზე. კობახიძეს ოპოზიციის ლანძღვისა და ჩაძირვის მეტი სხვა საქმე არ აქვს. ამით ცდილობს ერთგულება დაუმტკიცოს ივანიშვილს. ღარიბაშვილისთვის, არ მგონია, მომგებიანი იყოს კობახიძეს შეეჯიბროს გახარიასა და ოპოზიციის ლანძღვაში.

– გუნდში ვის უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება – ღარიბაშვილს თუ კობახიძეს?

– ალბათ ტრადიციას აღადგენენ. პარტიის ყველა თავმჯდომარე პრემიერი იყო. თუმცა, ივანიშვილს ურჩევნია, ისევ ღარიბაშვილი ჰყავდეს პრემიერად. წინასაარჩევნოდ სიების ფორმირება გუნდში მორიგი დაპირისპირების მიზეზი გახდება თუ არადა, ეს ხალხი გახარიასთან წავა.

– გახარიას ამ არჩევნებზე რა შანსები შეიძლება ჰქონდეს და რატომ დატოვა თანამდებობა. თქვენ რითი ხსნით?

– მე ვიცი, რომ გახარია მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნის ინიციატორი იყო. მერე რომ გააცნობიერა, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ ყველაფერს, რომ შეიძლება 20 ივნისს დამატებოდა კიდევ ახალი დანაშაული, უკვე ამაზე არ წავიდა. შეეშინდა და გადადგომა ამჯობინა. გახარიას არაკომპეტენტურობა ბევრჯერ ძვირი დაუჯდა ქვეყანას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გააცნობიერა, რა შედეგები შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყოლოდა და გაიქცა. 20 ივნისს დაბნეული იყო და ვერ მართავდა სიტუაციას. ამას ჩემი თვალით ვხედავდი.

– ბატონო დავით, თქვენ იმ ღამით პარლამენტის შენობაში იყავით. თუ ხედავდით გახარიას, რას ამბობდა ის, როგორ იქცეოდა?

– დიახ, პარლამენტის შენობაში ვიყავი. გვიან ღამე მოვიდნენ გახარია და ბახტაძე. ერთი კიბით მაღლა იყვნენ. სხდომათა დარბაზთან უნდა ჩამოსულიყვნენ და ოპოზიციასთან უნდა გაემართათ შეხვედრა. მე ლევან გოგიჩაიშვილმა დამირეკა და ჩვენც გადავწყვიტეთ მივსულიყავით. თუმცა, შეხვედრაზე არ მოვიდა, მეოთხე სართულზე გაჩერდა. „ნაცმოძრაობისა“ და „ოცნების“ წარმომადგენლები ერთმანეთს ეყოყლოჩინებოდნენ. ფანჯრიდან ეზოში ვიყურებოდი. უცებ დაიწყო სროლა. ამ დროს ზემოდან ხმა მომესმა – ვინ ისროლა?!

– ვისი ხამ იყო?

– გახარიასი. მხოლოდ ორი ადამიანი იყო იქ – გახარია და ბახტაძე. მანამდე იყვნენ პრეზიდენტის ფლიგელში, სადაც ჰქონდათ შტაბი და გავსებული იყო სპეციალური დანიშნულების რაზმით. პარლამენტის შენობა შიგნით სავსე იყო სპეციალური დანიშნულების რაზმით და მას მომიტინგეები კი არა, ჯარი ვერ აიღებდა.

რომ აცხადებს, მე გავეცი ბრძანებაო, მაშინ რატომ იკითხა – ვინ ისროლა?! მე ვიცი, რომ მას არ გაუცია ბრძანება. საკუთარ თავზე რომ აიღო პასუხისმგებლობა, იმიტომ დააწინაურეს პრემიერად.

– გახარიამ თქვა, რომ „ოცნებიდან“ ვერავინ ვიპოვეთ, რომ ოთახი გაეღოთო. იყო „ოცნებიდან“ ვინმე?

– იყვნენ. მდინარაძე იყო, როგორც ვიცი. ზვიად ძიძიგურიც იყო. თუმცა, მე უკვე მათთან არ ვიყავი და უბრალოდ დერეფანში გავიარე. ჩვენ, ოპოზიციონერ დეპუტატებს გვეგონა, რომ სასაუბროდ, მოსალაპარაკებლად მოვიდოდნენ, როგორ უნდა განგვემუხტა სიტუაცია, მაგრამ არავინ არ მოვიდა. ზევით გაჩერდნენ.

აშკარად ვერ მართა სიტუაცია. შეცდომას შეცდომაზე უშვებდა არა მხოლოდ 20 ივნისს. მერე უკვე იყო ნიკა მელიას ამბავი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეეშინდა და პასუხისმგებლობას გაექცა. ახლა კი, მის მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნა გარკვეულწილად ალიბია. ხედავს, დასავლეთი აქტიურად არის ჩართული პოლიტიკოსების დაცვაში და გადაწყვიტა, მოვიდეს პოლიტიკაში.

„20 ივნისს პარლამენტის შენობა შიგნით სავსე იყო სპეციალური დანიშნულების რაზმით და მას მომიტინგეები კი არა, ჯარი ვერ აიღებდა“

„ოპოზიცია ოლიგარქის ბუტკას უწოდებდა პარლამენტს, მაგრამ შევიდნენ“

ანზორ ბიწაძე: „მოსახლეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებზე ისეთ პასუხისმგებლობას დააკისრებს ოპოზიციას, როგორსაც ხელისუფლებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანზორ ბიწაძე პასუხობს.

– ანზორ, როგორ აფასებ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? შალვა ნათელაშვილის გარდა, ყველა მანდატმოპოვებული ოპოზიცია პარლამენტშია. საზოგადოებისგან ხშირად ისმის საყვედურები, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ფრთები გაშალა მას შემდეგ, რაც ოპოზიცია პარლამენტში დაიგულა და დრაკონულ კანონებს ღებულობსო. რა აზრი ჰქონდა მაშინ ოპოზიციის პარლამენტში შესვლას და რამდენად სწორი იყო ეს ყველაფერი?

– რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო ეს ყველაფერი და საზოგადოების დიდი ნაწილის იმედგაცრუება არის აბსოლუტურად სამართლიანი. ის, რომ „ოცნების“ ზნეჩვეულებები და მაგ ორგანიზაციის არსი არ შეიცვლებოდა პარლამენტში შესვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს მოსალოდნელი იყო. ამის ნათელი მაგალითი ჩვენ პირდაპირ ეთერში ვიხილეთ რამდენიმე დღის წინ, როდესაც პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საუბრობდა. ვნახეთ, როგორი რიტორიკა ჰქონდა, როგორ საუბრობდა ოპონენტებზე და ა.შ. ჩვენ იმთავითვე ვამბობდით, რომ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა მოხდა ძალიან ნაჩქარევად, ძალიან იჩქარეს ჩვენმა კოლეგებმა გადაწყვეტილების მიღება და, ბუნებრივია, შეიქმნა ძალიან დიდი პრობლემა ოპოზიციასთან მოსახლეობის დამოკიდებულებაში. ამაზე საზოგადოებისგან გული არავის არ უნდა დასწყდეს. იმიტომ რომ, როდესაც ხარ ოპოზიციაში და გსურს, ბრძოლაში გამოგყვეს საზოგადოება, ყველაზე მნიშვნელოვანი არის თანმიმდევრულობა. ჩვენ კი მივიღეთ კატასტროფული წყვეტა ოპოზიციის თანმიმდევრულობასა და მის მოქმედებებში. 6 თვის მანძილზე, როდესაც უკლებლივ ყველა ოპოზიციური პარტია და ოპოზიციური ლიდერი ბიძინა ივანიშვილს ეძახდა რუს ოლიგარქს და საქართველოს პარლამენტს რუსი ოლიგარქის ბუტკას, რომელიც იყო არალეგიტიმური, შემდეგ მოსახლეობამ სულ სხვა სურათი იხილა.

– ყველა შევიდა იმ ე.წ. ბუტკაში.

– დიახ, ასეა. ბუნებრივია, ამან გამოიწვია საზოგადოებაში გაუგებრობა და იმედგაცრუებაც.

– ეს იყო ღალატი იმ პრინციპების, იმ შეთანხმების, რაზეც მანამდე შეჯერდით?

– იცით, შარლ მიშელის დოკუმენტზე ნაჩქარევმა ხელმოწერამ ყველაფერი შეცვალა და მოსახლეობამ იხილა სულ სხვა სურათი, სრულიად განსხვავებული, რასაც 6 თვის მანძილზე უყურებდა და ისმენდა. რაც შეეხება „ოცნების“ პოზიციას და საქციელს, ხედავთ, როგორც მოიქცა „ოცნება“. „ოცნებამ“ ჩათვალა, რომ მან გაივაკა...

– ასევე გაიმარჯვა ოპოზიციაზე.

– დიახ, ჩათვალა, რომ პოლიტიკურად სამშვიდობოს გავიდა. გეთანხმებით, ეს ჩათვალა საკუთარ გამარჯვებად და, რა თქმა უნდა, იქცევიან ისე, როგორც იქცევიან. როგორც კი ოპოზიციის პირველმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ პარლამენტში აპირებდნენ შესვლას, მეორე დღესვე მათ მიიღეს კანონი, რომელიც პირდაპირ სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ იყო მიმართული და ასე გაამკაცრეს კანონი.

– ასევე პარტიების დაფინანსების კანონიც იცვლება...

– დიახ, არც ვენეციის კომისიის რეკომენდაცია არ იღეს ყურად და დაფინანსება გაუუქმეს პოლიტიკურ პარტიას. მაშინ როდესაც, პირდაპირ მოგვწერა და გვირჩია ვენეციის კომისიამ, რომ ამის გაკეთება არ იყო მიზანშეწონილი. 50-ზე მეტი ოპოზიციონერი დეპუტატია პარლამენტში და მხოლოდ 27-მა მისცა ამ კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა. ისმის კითხვა, სად იყვნენ დანარჩენები ასეთი მნიშვნელოვანი კენჭისყრის დროს?

– ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, ხალხი მშიერია და ამ დროს ოპოზიცია ძალიან არაადეკვატური და არათანმიმდევრულია. მიშელის კომიტეტის შექმნით იწონებს ზოგიერთი თავს. ხალხს ეს უშველის?

– პრობლემა ისაა, რომ მოსახლეობისთვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და იმ გლობალური პრობლემებისთვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას უდგას წინ, ამ ფორმატით ოპოზიციის მუშაობა პარლამენტში ვერანაირ შედეგს ვერ გამოიღებს. სწორედ ამაშია პრობლემა და სწორედ ამიტომ არის მოსახლეობაში სხვადასხვა მოსაზრებები ოპოზიციის შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით. დღეს ოპოზიციის როლი ისედაც დაკნინებულია, ქვეყანაში დემოკრატია არ არის და ამ ფონზე ოპოზიცია უარესად აკნინებს თავის როლს. შესაძლოა ოპოზიციას სურს ცვლილება, მაგრამ მათი საუბარი მხოლოდ საუბრად რჩება და მოსახლეობისთვის არაფერი არ იცვლება.

– მგონი ვადამდელი არჩევნებიც აღარ უნდათ, ამ თემაზეც აღარავინ საუბრობს.

– მაგაზეც აუცილებლად ვიტყვი. თუკი ჩვენი მოსახლეობა არ დაინახავს, რომ ოპოზიციის ქმედება ჩვენი მოსახლეობის მძიმე ყოფაზე არ ახდენს რაიმე გავლენას, მაშინ, ბუნებრივია, მოსახლეობა ოპოზიციას ზურგს შეაქცევს. ოპოზიციის ფუნქცია ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში არის ის, რომ ის იბრძოდეს ხელისუფლების შესაცვლელად. ამას კი თანმიმდევრულობა სჭირდება მოსახლეობის პირობის გასაუმჯობესებლად. თუ ეს არ დაინახეს ჩვენმა თანამოქალაქეებმა, მაშინ ისინი, უბრალოდ, ლეგიტიმურ კითხვას დასვამენ, რომ მაშინ რა სარგებელი მოაქვს ოპოზიციის საქმიანობას?!

– დააზარალა ოპოზიცია მათ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა? მით უმეტეს, წინ არჩევნებია.

– როდესაც 2 მილიონი კაცი მოვა, თანაც პანდემიის დროს არჩევნებზე და შენ შეჰპირდები მოსახლეობას, რომ აუცილებლად მათ ხმებს დაიცავ, შემდეგ აღმოჩდება, რომ ვერც ხმები იქნა დაცული და ვერც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერანაირი პროგრესი ვერ იგრძნობა, ბუნებრივია, იმედგაცრუება იქნება ჩვენს თანამოქალაქეებში და მათზე გული არავის არ უნდა დასწყდეს. ამ სიტუაციაში, მოდით, ობიექტურები ვიყოთ.

– ვადამდელ არჩევნებზე რას ფიქრობ?

– რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური ლიდერი, რომელიც არ გააგრძელებს ბრძოლას ვადამდელი არჩევნებისთვის და არ იმუშავებს იმისთვის, რაშიც მოსახლეობას უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე არწმუნებდა, ნებისმიერი მათგანი ძალიან წარუმატებლად დაამთავრებს თავის პოლიტიკურ კარიერას. ვადამდელი არჩევნები კი ნებისმიერ დროს შეიძლება მაინც დაინიშნოს. დღეს პოლიტიკური კრიზისი არ განმუხტულა, ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს, პირიქით, ის უფრო გაღრმავდა. კარგად ესმოდეს ყველას, რომ მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციას არასოდეს შეუცვლია ხელისუფლება საქართველოში. იგივე 2012 წელს, ბიძინა ივანიშვილი 6 პარტიისგან შემდგარი კოალიციით მოვიდა და მათგან არც ერთი არ იყო საპარლამენტო ოპოზიცია. ოპოზიცია დღეს კი შევიდა პარლამენტში, მაგრამ ყველა არსებული კრიზისი ისევ კრიზისად დარჩა. პროცესი უფრო გაღრმავდა.

– გამოდის, რომ „ოცნებას“ ყველაფერი „გაუპრავა“ პარლამენტში შესულმა ოპოზიციამ? ძალიან ლაღად გრძნობს თავს ხელისუფლება და უფრო თამამ გადაწყვეტილებებსაც იღებს.

– ისინი თვლიან, რომ მათ მოიპოვეს აბსოლუტური გამარჯვება ოპოზიციაზე, არიან ძალიან თავდაჯერებულნი მომავალი ადგილობრივი არჩევნებისთვის. ბუნებრივია, დღეს ისინი კიდევ უფრო მეტს ფიქრობენ საკუთარ თავზე, ვიდრე მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებაზე. სწორედ აქედან მოდის ის კატასტროფული ტყუილები, რომელსაც მთავრობა გვიცხადებს, რაღაც ასტრონომიული ციფრებით ეკონომიკურ ზრდაზე. არ მინდა რაიმე სერიოზულ და ღრმა დაპირისპირებაში შევიდე ჩემს ოპოზიციურ კოლეგებთან, უბრალოდ, კორექტულად და სამართლიანად მინდა შევახსენო ყველას, რომ მოსახლეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებზე ისეთსავე პასუხისმგებლობას დააკისრებს ოპოზიციას, როგორსაც ხელისუფლებას. ამიტომ პარლამენტში მყოფ ოპოზიციას გაცილებით მეტი ეფექტურობა მართებს.

– ანზორ, რამდენჯერმე ახსენეთ კობახიძე. მინდა მის ბოლოდროინდელ განცხადებებზეც გკითხოთ, ხედავთ, როგორი დაპირისპირებაა „ოცნებასა“ და გახარიას შორის. 20 ივნისი ახლოვდება და ძალიან გააააქტიურა ეს თემა თავად ხელისუფლებამ. თურმე ყველაფერი გახარიას ბრალი ყოფილა. რას იტყვით, რამდენად რეალურია დაპირისპირება კობახიძესა და გახარიას შორის?

– დაპირისპირება, როგორც ჩანს, რეალურია. არ ვიცი რამდენად რეალურია ივანიშვილსა და გახარიას შორის დაპირისპირება, თუმცა კობახიძისა და მისი დაჯგუფების დაპირისპირება გახარიასთან რომ მწვავეა, ეს ფაქტია. ისინი გახარიას კონკურენტად აღიქვამენ. თუმცა ძალიან არასერიოზულია და ცოტა სასაცილოდაც კი გამოიყურება ის, რასაც კობახიძე აკეთებს.

– ღიად ადანაშაულებს გახარიას, თუ ასე იყო, მაშინ რატომ დააწინაურეს. სად არის აქ ლოგიკა?

– აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ ადანაშაულებენ, ეს არის უბრალოდ კონკურენციის ამბავი და მეტი არაფერი. 2020 წლის არჩევნებზე ის ხმები, რაც მოსყიდვით და დაშინებით აიღო „ოცნებამ“, ვინც მათ მისცა ხმა, ხმა მისცა ან ბიძინა ივანიშვილს, ან გახარიას, რომელზეც 24 საათი უკიჟინებდნენ მოსახლეობას, რომ ის არის ლეგენდარული და ეფექტური მენეჯერი. დადიოდნენ ქალაქ-ქალაქ და ყველას ეუბნეოდნენ, ჩვენ უნდა მოგვცეთ ხმა, რადგან ჩვენ გვყავს სასწაულმოქმედი გახარია. ახლა კი, რამდენიმე თვის თავზე, გამოდიან და ამბობენ, რომ გახარია ყოფილა ყველაფერში დამნაშავე, გახარიას მოუყვანია ქვეყანა აქამდე, გახარიას ბრალია 20 ივნისი, პანკისის სპეცოპერაცია და ა. შ. უბრალოდ, ძალიან არასერიოზულად გამოიყურება, ამის მორალურ მხარეს რომ საერთოდ თავი დავანებოთ. ეს არის ძალიან მახინჯი პრაქტიკა საქართველოში, ადამიანი გუნდიდან რომ მიდის, მერე მას ყველაფერ უბედურებას აბრალებენ და ყველაფერი იმ წამიდან მისი ბრალი ხდება. ასე რომ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი განიმუხტა, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. თუნდაც იმ ამომრჩეველმა, ვინც „ოცნებას“ მისცა ხმა, მას ხმა არ მიუცია ირაკლი ღარიბაშვილისა და ირაკლი კობახიძისთვის, მათ ხმა მისცეს ივანიშვილს და გახარიას. დღეს კი არც ერთია ხელისუფლებაში და არც მეორე. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, ასეთ შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნებოდა. ასე რომ, კრიზისის განმუხტვაზე ზღაპრებს ნუ გვიყვებიან.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ეკლესიაზე მიმდინარეობს გეგმაზომიერი შეტევა“

თამარ ჩხეიძე: „ოპოზიციისთვის უმძიმესია ერთდროული ზრუნვა მერების კანდიდატურებსა და 43%-იან მექანიზმზე“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკასა და საზოგადოებაში არსებულ ზოგიერთ პრობლემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

– რას იტყვით იმაზე, რომ ბოლო ხანს ქართული პოლიტიკის მთავარ თემად გადაქცეულია ყოფილი პრემიერი გიორგი გახარია?

– ადრე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გახარია ივანიშვილის მიერ ხელშეწყობილი პროექტი იყო. მახსენდებოდა ივანიშვილის სიტყვები იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მას ჩაანაცვლებდა ახალი ძალა. ახლა დარწმუნებული არა ვარ იმაში, არის თუ არა გახარიას ახალი როლი და პარტია დაკავშირებული ბიძინა ივანიშვილთან. „ქართულ ოცნებას“ მოახლოებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში 43%-იანი ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგას. ეს, ფაქტობრივად, არის რეფერენდუმი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის. ამ სიტუაციაში გახარიას პარტია ვერ იქნება „ქართული ოცნების“ მოკავშირე. საპარლამენტო არჩევნები რომ იყოს, მაშინ „ქართული ოცნება“ და გახარიას „საქართველოსათვის“ მომავალ კოალიციაზე იქნებოდნენ ორიენტირებული. ერთი რამ არის ნათელი – გახარია არის რუსეთის სარეზერვო ძალა. ივანიშვილის როლი ამაში გამოკვეთილი არაა. სავსებით შესაძლებელია, საქართველოში იყვნენ პრორუსული ძალები, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდეთ.

– გახარიას სხვა სუბიექტები ნებსით თუ უნებლიეთ აპიარებენ?

– ხელისუფლებამ, წესით, არ უნდა გააპიაროს. გახარიას პარტია „ქართულ ოცნებას“ ხმებს წაართმევს.

– საექსპერტო საზოგადოებისთვის გახარია პროდასავლურად განწყობილი დიდი პოტენციალის მქონე ლიდერია.

– სიმართლე გითხრათ, მე გახარიას ასეთი განდიდება არ მომისმენია. ეჭვს არ იწვევს ის, რომ გახარია არის არასაიმედო ადამიანი, რომელსაც პასუხი მოეთხოვება ბევრ პრობლემაზე. მართალია, რაც შავდებოდა, ეს, უმთავრესად ხდებოდა ივანიშვილის ინიციატივით, მაგრამ გახარია იყო შემსრულებელი. მას ეკავა შს მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები. მე გახარია რუსეთის ნების შემსრულებელი მგონია. ასე უცებ პატრონს ვერ შეიცვლიდა. ეს ასე არ ხდება.

– „ქართული ოცნების“ ლიდერმა ირაკლი კობახიძემ გააკრიტიკა გახარიას მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები.

– კობახიძის გამოსვლიდან გამოვიდა, რომ იგი უარყოფითად აფასებს 2019 წლის 19-20 ივნისის მოვლენებს და მაშინდელ დარბევას. მთავარი დამნაშავე, მისი აზრით, გახარიაა. კობახიძის ნალაპარაკევიდან გამოვიდა, რომ ყველაფერი გახარიას და მასთან გარიგებული სააკაშვილის ბრალი ყოფილა და რომ გახარია ნაციონალურ მოძრაობაზე მუშაობს. ეს კომიკურია.

– დაშლილ ოპოზიციაში ადგილობრივი არჩევნებისთვის საერთო კანდიდატებზე ვერ თანხმდებიან. ეს ხომ სხვა სახის არჩევნებია? მერების კანდიდატებია მთავარი?

– ოპოზიციისთვის დაყოფა არ არის სახარბიელო. მისთვის უმძიმესია ერთდროული ზრუნვა მერების კანდიდატურებსა და 43%-იან მექანიზმზე. განსაკუთრებით, ისეთი გამოსვლების ფონზე, როგორიც აქვს, მაგალითად, გიორგი ვაშაძეს. მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც არ არიან კარგ მდგომარეობაში. დღეისთვის ასეა. შესაძლოა, არჩევნების წინ სურათი შეიცვალოს – ხელისუფლების ანტიხალხურმა მოქმედებებმა წარმოქმნას სხვა სიტუაცია.

– 5 ივლისიდან თბილისში იწყება რამდენიმედღიანი ლგბტ-ღონისძიებები. ლევან ვასაძე ხელისუფლებისგან მოითხოვს, ამგვარი შეკრებების ამკრძალავი კანონის მიღებას. 4 ივლისს დაანონსებულია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ორგანიზებული აქცია ეკლესიისა და საპატრიარქოს დასაცავად. რას უნდა მოველოდეთ ივლისში?

– დავიწყოთ ლგბტ-საკითხით. ლგბტ-პრაიდები შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს. ის, ვინც ამას რეაქციულად და აგრესიულად ეწინააღმდეგება, სინამდვილეში, ახდენს ლგბტ-საზოგადოების პოპულარიზაციას. ამაზე პანიკის და ვაიუშველებლის ატეხა დესტრუქციულია და არ წაადგება ქვეყანას. ეკლესიაზე რომ მიზანმიმართული და გეგმაზომიერი შეტევა მიმდინარეობს, ამას მეც ვამბობ. ასეთი თავდასხმები ეკლესიაზე საბჭოთა კავშირის დროს, 60-იან, 70-იან, 80-იან წლებში არ ყოფილა. ბოლშევიკების ხანა სხვაა. ამის წინააღმდეგ არ არის სწორი რადიკალური აქციები. სამწუხაროა, რომ რელიგიისა და ეკლესიის დამცველებად გამოდიან პრორუსული რეაქციული, ფსევდოპატრიოტული ძალები.

– საზოგადოებაში ტრადიციონალისტურად განწყობილი მედასავლეთეებიც ხომ არიან?

– რასაკვირველია. იმის თქმა მინდა, რომ ასეთებს ხმას არ აღებინებენ. იმ არხებზე, რომლებიც ითვლებიან კრიტიკულ დამოუკიდებელ ტელევიზიებად, მიმდინარეობს აქტიური ანტისაეკლესიო კამპანია. იქ გამოდიან ამ კამპანიის მონაწილეები. მკაცრად არის განსაზღვრული, ვისი მოწვევა შეიძლება გადაცემებში. ახალ ამბებში მთავარ საკითხებად გადის სიუჟეტები იმაზე, თუ რა ჩაიდინა ამა თუ იმ სასულიერო პირმა. ტერიტორიული მთლიანობა, ბორდერიზაცია, სხვა პრობლემები უკანა პლანზე გადადის. თუ ეკლესიის დაცვაზე მიდგა საქმე, რატომღაც ამაში ებმებიან აგრესიული, რეაქციული რუსეთიდან მართული ძალები.

– ბოლო დროს ნინოწმინდის პანსიონის თემა იყო აქტუალური.

– პანსიონის ყოფილ ხელმძღვანელს, მეუფე სპირიდონს (გოჩა აბულაძეს) ეროვნული მოძრაობის დროიდან ვიცნობ. ადრე მას ჩვენსავით ეროვნული შეხედულებები ჰქონდა. სამწუხაროდ, შემდეგ ის პრორუსულად განწყობილი გახდა. მას ამ საკითხში და სახალხო დამცველის მიმართ დამოკიდებულებაში არ ვეთანხმები. ისე, დარწმუნებული ვარ, რომ მას ბავშვებისათვის კარგი უნდა. ვიცი, რომ ბავშვთა პანსიონი მან საუკეთესო განზრახვით დააარსა. სახალხო დამცველის არ შეშვება დაწესებულებაში არ არის სწორი. მეუფე სპირიდონი შეცვალეს ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობით, რომელიც ცნობილია თავისი სკანდალური განცხადებებით. არა მგონია, ეს პოზიტიური გადაწყვეტილება იყოს.

– პანსიონში იყო პრობლემები.

– რასაკვირველია. თუმცა, წამოყენებული კონკრეტული ბრალდებები საკმარისად დასაბუთებული არ არის. ეს საკითხი, ისევე, როგორც სხვა თემები, გამოყენებულია კარგად დაგეგმილი თავდასხმისათვის ეკლესიაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო სამიზნე რუსეთის მხრიდან. ჩვენს ეკლესიაზე შტურმი ხორციელდება მე-19 საუკუნიდან. ეკლესია იყო თავდასხმების ობიექტი საბჭოთა დროსაც. ათეისტური ხელისუფლებაც ცდილობდა ეკლესიის დისკრედიტაციას. ამ მიზნით შეგზავნილი ჰყავდა სპეციალური პირები. მათი წვლილიცაა, რომ ეკლესიაში შეუფერებელი მოვლენები ხდება. ესეც რომ არ იყოს, ეკლესიაში მსახურობენ ჩვეულებრივი ადამიანები. მათი უმრავლესობა ღირსეული ადამიანია, თუმცა ზოგიერთი სცოდავს. ნათქვამია, რაც ერი, ის ბერიო. სადღაც რომელიმე მღვდელს რომ რამე შეეშლება, ეს არ ნიშნავს, რომ ეკლესიას უნდა შეუტიო და ახალი ამბების მთავარ თემებად სისტემატურად აქციო ეკლესიაში მიმდინარე პროცესები.

ნიკა ჩიტაძე: „საქართველოს მაპს არც ნატოს შემდეგ სამიტზე მიანიჭებენ“

„საქართველო ნატოს მიმართ უფრო მომთხოვნი უნდა იყოს, მაგრამ შესაძლოა ეშინია, რომ ნატოც უფრო მეტ რეფორმას მოსთხოვს“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ არ მიიწვიეს საქართველო ნატოს სამიტზე? რატომ არ ვითხოვთ იმაზე მეტს, ვიდრე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოსთან მიმართებით იმეტებს? რაში გვიშლის ხელს დემოკრატიული რეფორმების ნაკლებობა? რას ველოდებით მომავალი სამიტისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– ნატოს სამიტზე არ იყო მიწვეული საქართველო და არც სათანადოდ იყო მისკენ მიპყრობილი ყურადღება. თქვენი შეფასებით ეს რისი ბრალია – საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის თუ ნატოს ახლანდელი პოლიტიკის და სამიტის ვიწრო ფორმატში გამართვის?

– არ არის გამორიცხული, ორივე კომპონენტის და ამიტომ ორივე კომპონენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო და უკრაინა აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ მიწვეულნი. შესაძლოა, არ დაუშვეს გამონაკლისი საქართველოსა და უკრაინისთვის.

იცით როგორ არის? ნატო როდესაც გაფართოებულ სამიტს მართავდა ხოლმე, პირველ დღეს სხდებოდნენ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში წევრი სახელმწიფოები და განიხილავდნენ აქტუალურ საკითხებს, რომელიც მიმდინარეობდა ატლანტიკურ საბჭოში; მეორე დღე ეთმობოდა პარტნიორებთან შეხვედრას, იგივე სამხრეთ კორეა, ავსტრალია და ზელანდია განიხილებიან ნატოს პარტნიორებად; შემდეგ იყო შეხვედრა ნატოს ასპირანტ ქვეყნებთან. საქართველო ფაქტობრივად ყველა ფორმატში იყო ხოლმე მიწვეული. მაგალითად, 2012 წელს ჩიკაგოს სამიტი რომ გაიმართა, იქ იყო შეხვედრა პარტნიორ ქვეყნებთან, ასპირანტ ქვეყნებთან. ყველა ფორმატში იღებდა საქართველო მონაწილეობას. გარდა იმ ფორმატისა, რომელშიც მხოლოდ ნატოს წევრი სახელმწიფოები იღებდნენ მონაწილეობას.

აქ მთავარი სხვა რამეა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და უკრაინა არ იყვნენ მიწვეულები, კომუნიკეში საქართველოზე იყო საუბარი. მაგალითად ის, რომ მიესალმებიან საქართველოს ნატოში გაწევრიანებისადმი მისწრაფებას; იქ, რომ რეფორმები განხორციელდა; ასევე მოწოდება, რომ დემოკრატიული მიმართულებით რეფორმები უნდა გაგრძელდეს და ა. შ. ახლა მთავარია ამ ყველაფრის პრაქტიკაში გადმოტანა და განხორციელება.

– თუმცა, ამ ნაწილში საქართველოს მესამე პრეზიდენტმა დღევანდელი ხელისუფლება გააკრიტიკა. სააკაშვილმა თქვა, რომ ზელენსკიმ მადლობაც გადაუხადა, მაგრამ თან გააკრიტიკა, რომ არ იყო მიწვეული და მეტ მხარდაჭერაში არ გამოიხატა, ხოლო საქართველომ მხოლოდ მადლობა გადაიხადაო. სწორად გააკრიტიკა სააკაშვილმა?

– რა თქმა უნდა, საქართველო უფრო მომთხოვნი უნდა იყოს ნატოს მიმართ, ისევე, როგორც ნატო საქართველოს მიმართ, თუმცა ნატო უფროა მომთხოვნი საქართველოს მიმართ. ვგულისხმობ, მაგალითად, ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელსაც საქართველო ახორციელებს. ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში დგება გეგმა პრიორიტეტული საკითხების დაყენებით. ეს არის ის რეფორმები, რაც უნდა განახორციელოს საქართველომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების თვალსაზრისით. ეს ხორციელდება, მაგრამ მეორე მხრივ საინტერესოა ის, რამდენად არის საქართველო ნატოს მიმართ მომთხოვნი.

ზელენსკი გამოხატავს თავის პოზიციას და ბაიდენსაც კი მიმართა, რომ თქვი, ან კი, ან არაო. საქართველოს ხელისუფლება არ ითხოვს ამას. ამ დროს უნდა მოითხოვოს. საქართველო ახორციელებს საკუთარ კონტრიბუციას ნატოს საერთაშორისო მისიებში. ამიტომ ნატომ უფრო პრინციპული პოზიცია უნდა გამოხატოს. თუ საუბარია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაზე და იმაზე, რომ ნატო რჩება გადაწყვეტილების ერთგული. უკაცრავად, მაგრამ 13 წელი გავიდა ამ სამიტიდან.

– რატომ არ ითხოვს საქართველო ნატოსგან მეტს? იმიტომ ხომ არა, რომ ფიქრობს, მათგან ბევრი რომ მოვითხოვოთ, ის უფრო მეტს მოითხოვს ჩვენგანო?

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ნატო ისედაც ბევრს ითხოვს. ნატო თვლის, რომ პირველ რიგში ჩვენ გვინდა წევრობა, მაგრამ პრინციპულობა გვაკლია. უნდა მოვითხოვოთ.

– ნახეთ, რას ვკითხულობ – უკრაინამ როდესაც მოითხოვა პასუხი, ან კი, ან არა თქვითო, მას ბაიდენმა უპასუხა, რომ მათ უნდა დაამარცხონ კორუფცია. ასეთივე რაღაცა საქართველოსთან დაკავშირებითაც ხომ შეიძლება იყოს, მით უმეტეს, რომ გვითხრეს, კლანი გყავთ სასამართლოშიო და ამას ხომ არ ერიდებიან?

– კი, ეს შესაძლებელია. მაშინ საქართველოს მოსთხოვენ, რომ საქართველომ უნდა აღასრულოს კანონის უზენაესობა. ის ქვეყნები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი საქართველოს მარტო ნატოში გაწევრიანებასთან კი არა, არამედ მაპის მინიჭებასთან დაკავშირებითაც, საქართველო თავისი უმოქმედობით აძლევს დამატებით საფუძველს იმისა, რომ ამ ქვეყნებმა გააკრიტიკონ საქართველოში არსებული ვითარება დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. გასაგებია, რომ სხვა შემაფერხებელი ფაქტორიც არის, მაგრამ ჩვენი რესურსი რაც არის, იმასაც ვერ ვიყენებთ. მიღებული იქნა დოკუმენტი გაფართოებაზე და ამ დოკუმენტში არის კონკრეტული მოთხოვნები ასპირანტი ქვეყნების მიმართ, რომ ქვეყანა, რომელსაც სურს ნატოს წევრობა, უნდა იყოს დემოკრატიული და უნდა ჰქონდეს მოგვარებული დემოკრატიის პრობლემა.

კი ბატონო, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გვაქვს, მაგრამ გაცილებით რთულია ამის გადაჭრა, ვიდრე დემოკრატიის განვითარება, რადგანაც ეს ჩვენ ხელშია. ამიტომაც 2004 წელს, როდესაც ლატვია და ესტონეთი მიიღეს ნატოში, ამ ორ ქვეყანას არ ჰქონდა დემარკირებული საზღვარი რუსეთთან. ამის თაობაზე ხელშეკრულებას რუსეთთან ხელი 2004 წელს მოეწერა. ამის მიუხედავად, ნატომ გაითვალისწინა ეს ფაქტორი იმიტომ, რომ ორივე ეს ქვეყანა აკმაყოფილებდა ნატოს სტანდარტებს სხვა საკითხებთან დაკავშირებით და ამიტომაც მიიღეს ნატოში. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს დოკუმენტის თანახმად, ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. ეს დოკუმენტი რეკომენდაციებს შეიცავს.

საქართველო, სამწუხაროდ, დამატებით აძლევს საბაბს ნატოს სკეპტიკოს წევრებს. ის, რომ ქვეყნის მთავარ დოკუმენტში ჩაწერილია, რომ საქართველოს მთავარი პრიორიტეტი საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციაა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი თუ არ მოხდება თავდაცვის დოქტრინასა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ასახული საკითხების პრაქტიკაში განხორციელება, რასაც საქართველო ჯერჯერობით ვერ ახორციელებს.

– ეს სამიტი მომავალი წლის დიდი სამიტის ერთგვარ გენერალურ რეპეტიციადაც იწოდება. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ – უნდა ველოდოთ გაფართოების პოლიტიკას, მათ შორის, საქართველოსთვის მაპის მინიჭების თაობაზეც?

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ უნდა ველოდოთ, რადგან მაპის მინიჭებასა და ქვეყნის ნატოში მიღება – არმიღების თაობაზე მიიღება კონსენსუსის საფუძველზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს კონსენსუსი არ არსებობს. კი ბატონო, ქვეყნების უმეტესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ არსებობს ათამდე ქვეყანა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოსთვის მაპის მინიჭებასაც. კონსენსუსის არარსებობის პირობებში რთულია საკითხის ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვეტა. თანაც ეს ისეთი ქვეყნებია, როგორიცაა: გერმანია, საფრანგეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია და ა. შ. სამწუხაროდ, ეს ქვეყნები ეწინააღმდეგებიან საქართველოს ნატოში მიღებას.

საქართველოში მამაკაცების საშუალო ხელფასი ქალებისას 450 ლარით აღემატება

საქართველოში მამაკაცების საშუალო ხელფასი ქალებისას 450 ლარით აღემატება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის I კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1.022.9 ლარით, ხოლო კაცების – 1.473.4 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 62.5 ლარი შეადგინა, ხოლო კაცებში – 49.5 ლარი.

ამასთან, საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

ირანის მოქალაქის ჯგუფმა ათეულობით მილიონი დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინა

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან ერთად ჩატარებული კომპლექსური გამოძიების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ცრუ მეწარმეობისა და ტრანსნაციონალური ხასიათის განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტი გამოავლინა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 6 პირის მიმართ.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ფ.ნ.-მ შექმნა სტრუქტურულად მოქმედი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის მიზანსაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დადგენილი პროცედურების გვერდის ავლით, საზღვარგარეთიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის შემოტანა და ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსების გზით კანონიერი სახის მიცემა წარმოადგენდა.

მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი და მატერიალურ სარგებელზე ორიენტირებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ფუნქციებში შედიოდა: სამეწარმეო განზრახვის გარეშე იურიდიული პირების შექმნა და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესრულება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, სატრანსპორტო საშუალებებში მოწყობილი სპეციალური სამალავების მეშვეობით, საზღვარგარეთიდან საქართველოში თანხის მალულად შემოტანა, შემდგომში დანაწევრება და გამოგონილი დანიშნულებით ფიქტიური საწარმოების საბანკო ანგარიშებზე განთავსება. ასევე, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის დამზადება და მათ საფუძველზე სხვადასხვა ქვეყანაში საბანკო გადარიცხვების განხორციელება.

წინასწარ შემუშავებული სქემის შესაბამისად, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ ფ.ნ.-მ ორგანიზებული ჯგუფის წევრების – გ.ა.-ს, გ.გ.-ს, გ.ჩ.-ს, მ.ც.-ს და დ.დ.-ს მეშვეობით, სამეწარმეო სუბიექტად დაარეგისტრირა რამდენიმე იურიდიული პირი, რომელთაც ანგარიშები გაუხსნეს საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში. 2016-2020 წლებში, საქართველოში შეგროვებული, მათ შორის, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საზღვარგარეთიდან შემოტანილი და ნაწილობრივ სახეცვლილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო და დაუსაბუთებელი თანხა: 15.385.489.6 აშშ დოლარი, 20.786.875 ევრო და 1.268.036.6 ლარი, მისი უკანონო წარმომავლობის შესანიღბად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დაანაწევრეს და გამოგონილი დანიშნულებით განათავსეს მათ მფლობელობასა და მმართველობის ქვეშ არსებული საწარმოების საბანკო ანგარიშებზე.

შემდგომში, მართლსაწინააღმდეგოდ შეკავშირებულმა პირებმა, მათ მიერ დამზადებული და საბანკო დაწესებულებებში წარდგენილი ყალბი ინვოისებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე, თითქოსდა სხვადასხვა საქონლის შეძენის დანიშნულებით, საწარმოების საბანკო ანგარიშებიდან განახორციელეს მრავალჯერადი ტრანზაქციები სხვადასხვა ქვეყანაში.

ამავდროულად, სისხლის სამართლის საქმეზე მოძიებული და დაყადაღებული იქნა დანაშაულის ორგანიზატორის ფ.ნ.-ს და მასთან დაკავშირებული პირების მიერ, სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლით, შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონებები, კერძოდ: თბილისში მდებარე ოთხი საცხოვრებელი ბინა, ჯამში 288 კვ.მ, 155 კვ.მ. კომერციული დანიშნულების ფართი, ქვემო ქართლისა და გურიის მხარეში არსებული, ჯამში 6.230 კვ.მ. სამი მიწის ნაკვეთი, რუსთავში მდებარე, სამრეწველო დანიშნულების 314.437 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და სამი ძვირადღირებული ავტომობილი. ამავე საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში მდებარე ერთ-ერთი ობიექტიდან ამოღებული იქნა 1.700.000 ლარზე მეტი ოდენობის თანხა.

2021 წლის 15 ივნისს, დაკავებული იქნა დანაშაულში მონაწილე ხუთი პირი – გ.ა., გ.გ., გ.ჩ., მ.ც. და დ.დ, რომელთაც ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით წარედგინათ, ხოლო ორგანიზატორის ფ.ნ.-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-193-ე მუხლითა და 25-194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით დაუსწრებლად დაიწყო. ბრალდებულთა მიერ ჩადენილი ქმედება, 9-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ქუთაისში 3 პირი დააკავეს

ქურდული სამყაროს წევრობისა და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით ქუთაისში ალექსანდრე მელაძე, თეიმურაზ ჩხეიძე და დავით სანდუხაძე დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, ბრალდებულმა თ.ჩ.-მ შემთხვევით გაიგო თავისი ნაცნობის, წყალტუბოში მდებარე ერთ-ერთი კაფე-ბარის ყოფილი მეწილისა და ამავე ობიექტის ახლანდელი მფლობელის ფინანსური დავის შესახებ. მან თანამზრახველებთან ერთად, თვითნებურად, საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით გადაწყვიტა აღნიშნულ დავაში ჩარევა.

„ბრალდებულებმა „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესების მიხედვით მოაწყვეს „ქურდული გარჩევა“. ფინანსური დავის ქურდული წესით გარჩევის შედეგად, ბარის მეპატრონეს ყოფილი ბიზნესპარტნიორისთვის და „ქურდული სამყაროს“ წევრების სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდა დააკისრეს.

სამართალდამცველებმა, თ.ჩ., ა.მ. და დ.ს. ბრალდებულის სახით მას შემდეგ დააკავეს, რაც ბარის მეპატრონემ მათ მოთხოვნილი თანხა გადაუხადა.

პოლიციამ, დაკავებულების საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც ბრალდებულები ერთმანეთს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ სხვა პირებს უკავშირდებოდნენ“– წერია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 223-ე პრიმა-2 მუხლით მიმდინარეობს. დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ტვ პირველმა“ იმერეთში მომხდარი ქურდული გარჩევის შესახებ დამატებითი დეტალები გაარკვია. „პირველების“ ინფორმაციით, საქმე ეხება წყალტუბოში მდებარე კაფე-ბარ „რაიდერს ჰაბის“ მეწილეებს შორის ფინანსურ დავას. საუბარია 12.000 ამერიკულ დოლარზე, რის გადახდაზეც მოქმედი და ყოფილი ბიზნესპარტნიორები ვერ მორიგდნენ და ერთ-ერთმა „ქურდულ სამყაროს“ მიმართა.

ტვ პირველის ინფორმაციით, პირველი უკანონო გარჩევა მარტში შედგა.

საქმეში დევს ფარული ვიდეო ჩანაწერიც, რომელიც კრიმინალურ გარჩევას ასახავს.

„ტვ პირველი“ კაფა-ბარის ერთ-ერთ მოწილეს, ეკა ბუცხრიკიძეს ესაუბრა. ის ყოფილ ბიზნესპარტნიორთან ფინანსურ დავას ადასტურებს. აღნიშნავს იმასაც, რომ მოდავე მხარემ საქმეში მეგობრები ჩართო, რის შემდეგაც ყოფილ მეწილეს „რაიდერს ჰაბის“ მოქმედმა ხელმძღვანელებმა 800 დოლარი და 800 ლარი გადაუხადეს.

– საახლობლო წრეში ლაპარაკი იყო, იყო საუბარი სივრცეში. პრობლემა ის იყო, რომ ის (ერთ-ერთი მეწილე) გავიდა საქმიდან და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. როგორც ვიცი, საქმეში ჩართული იყო საახლობლო წრე. წილიდან ვინც გავიდა, რა თქმა უნდა, თანხა გვქონდა გადასახდელი, რადგან აქ ფული იყო ჩადებული. გადავიხადეთ 800 ლარი და 800$, – აცხადებს ბარის ხელმძღვანელი.

გუშინ, 17 ივნისს, დაკავებულებს ბრალი წარედგინათ. დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ.

ადვოკატი მიხეილ ნემსაძე ვიდეოს ავთენტურობის დადგენას მოითხოვს და აცხადებს, რომ გავრცელებული ვიდეოკადრები მონტაჟია და დაკავებული დავით სანდუხაძის და თემურ ჩხეიძის რეალურ საუბარს არ ასახავს.

მესამე დაკავებულის, ალეკო მელაძის, ადვოკატიც აღნიშნავს, რომ მისი კლიენტიც უდანაშაულოა, მას ე.წ. ქურდულ სამყაროსთან კავშირი არ აქვს. ის ერთ-ერთ კომპანიაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს.

დაკავებულების სასამართლო პროცესი დღეს, 17 ივნისს, უნდა გაიმართოს.

ყალბი მართვის მოწმობის დამზადება-გასაღების ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება – გასაღების ფაქტზე, ერთი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში რეგისტრირებული ავტოსკოლის წარმომადგენელმა, თანხის სანაცვლოდ, დაამზადა და გაასაღა მართვის მოწმობის აღებისთვის საჭირო დ კატეგორიის სასწავლო კურსის დამთავრების დამადასტურებელი ყალბი მოწმობები, ისე, რომ ფაქტობრივად არ გადაამზადა მოქალაქეები შესაბამისი სწავლების კურსის ფარგლებში. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მესამე ნაწილითა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

10 წელი მძღოლს, რომელიც გაჩერებულ მიკროავტობუსს შეეჯახა

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გორის რაიონის სოფელ შავშვებთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რამაც 6 ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მ.ს.-ს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მასვე სამი წლის ვადით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 29 ოქტომბერს, დაახლოებით 23:30 საათზე, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, გორის რაიონის სოფელ შავშვებთან გამავალი ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა სამოძრაო ზოლში, დასავლეთის მიმართულებით მოძრავმა სატვირთო ავტომობილის მძღოლმა მ.ს.-მ ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და ყოველგვარი ხელისშემშლელი გარემოებების გარეშე გადავიდა საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სადაც შეეჯახა სარეზერვო ზოლში გაჩერებულ სამგზავრო მიკროავტობუსს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიკროავტობუსის მძღოლი ბ.რ. და მისი მგზავრები – ო.ჯ., ბ.შ., ი.გ., ე.ა. და გ.ჯ. გარდაიცვალნენ, ხოლო ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღეს გ.ვ.-მ და ლ.ჯ.-მ.

სამართალდამცველებმა მ.ს. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ერთი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ექვსი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარედგინა. გორის რაიონულმა სასამართლომ მ.ს. სრულიად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, წარდგენილი ბრალდებისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, მასვე სამი წლის ვადით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვა.

ბექა იორამაშვილს დავით ჩუგუაშვილის მკვლელობისთვის ბრალი წარუდგინეს

მუხრანში დავით ჩუგუაშვილის მკვლელობის გამო პროკურატურამ ბექა იორამაშვილს ბრალი წაუყენა.

„საქართველოს პროკურატურამ, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ბ.ი.-ს ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 10 ივნისს, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში ბ.ი.-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ბლაგვი საგნით დ.ჩ.-ს სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად დ.ჩ. საავადმყოფოში 14 ივნისს გარდაიცვალა.

ვინაიდან ბ.ი. თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ბრალდება დაუსწრებლად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, მცხეთის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

„სემსოტას“ მამას უკანონოდ უსმენენ?

ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის, „სემსოტას“ მამა ამტკიცებს, რომ მის ოჯახს ძალოვანი უწყება უკანონოდ უსმენს.

ძებნილი შალვა გულიაშვილის მამამ, თეიმურაზ გულიაშვილმა საცხოვრებელ სახლში გაურკვეველი ნივთი იპოვა და დარწმუნებულია, რომ ეს მოსასმენი აპარატია. გულიაშვილების სახლში სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები გვიან ღამემდე მუშაობდნენ. შსს ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებზე განმარტებას ამ დრომდე არ აკეთებს.

თეიმურაზ გულიაშვილის ინფორმაციით, სპეციალური აპარატი მათ საცხოვრებელში იმ დროს დაამონტაჟეს, როდესაც ის 2 დღის წინ შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

– ჩემ საკუთარ სახლში მე ვიპოვე გადამცემი, მოსასმენი აპარატი, გთხოვთ პატრულის თანამშრომელი მოვიდეს. იცოდეს პოლიციამ, წაიღოს, შეამოწმოს, გამოიძიონ, რა მხრივ შემოვიდნენ ჩემ საკუთრებაში. ჩემი გასაღები მოიპარეს, ეჭვიც მაქვს, რომ შეიძლება სხვა გასაღებიც გააკეთეს. ჯერ თვითონ გამოძიებამ დაამტკიცოს, თუ არა, მე თვითონ დავადებ ხელს ყველას, – თქვა თეიმურაზ გულიაშვილმა.

ოჯახის ადვოკატი ამბობს, რომ 15 ივნისს საღამოს ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები დარღვევებით ჩატარდა და „მოსასმენი აპარატი“ დარღვევით ამოიღეს, პოლიციას მტკიცებულების ამოღებისას ხელთათმანიც არ ეკეთა.

„სემსოტას“ შსს თითქმის ორი კვირაა უშედეგოდ ეძებს. ის 3 ივნისის ღამეს გორში, ვერხვების დასახლებაში მომხდარი მკვლელობის ერთ-ერთ მონაწილედ მოიაზრება.

ერდოღანი: „კავკასიაში სისხლმდენი ჭრილობა შეხორცდა“

– დღეს ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ვარ ძვირფასი აზერბაიჯანის მილი მეჯლისში, რომელმაც გაათავისუფლა ყარაბაღი.

ამის შესახებ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა აზერბაიჯანის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყარაბაღის გათავისუფლება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორიის განმავლობაში.

– 30 წლის განმავლობაში ჩემი აზერბაიჯანელი ძმები დევნილები იყვნენ თავიანთი მიწებიდან. 30 წლის შემდეგ ამ მიწებს კვლავ დაუბრუნდნენ ისინი, ვისაც ეს მიწები ეკუთვნით, – განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, ისინი, ვისაც ყარაბაღში კონფლიქტის გაგრძელება სურდათ, ამ კონფლიქტით სარგებლობდნენ.

– კიდევ ერთხელ ვულოცავ უმაღლეს მთავარსარდალს, ჩემს ძვირფას ძმას ილჰამ ალიევს, რომელმაც დიდებული ლიდერობა გამოიჩინა და აზერბაიჯანს მოუტანა ეს გამარჯვება და მშვიდობა, – აღნიშნა ერდოღანმა.

ჟენევაში ბაიდენი პუტინს შეხვდა

გუშინ, 16 ივნისს, ჟენევაში, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები, ჯო ბაიდენი და ვლადიმერ პუტინი, შეხვდნენ ერთმანეთს.

პირისპირ შეხვედრამ 90 წუთზე ცოტა მეტხანს გასტანა. პირველი შეხვედრისთვის 1 საათი და 20 წუთი იყო გამოყოფილი.

ამის შემდეგ შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა.

სამიტს ვილა ლა გრანჟმა უმასპინძლა.

საფრანგეთი კომენდანტის საათს აუქმებს

საფრანგეთი ღია საჯარო სივრცეში პირბადის ტარების ვალდებულებასა და კომენდანტის საათის ფარგლებში გადაადგილებასთან დაკავშირებით დაწესებულ შეზღუდვებს აუქმებს.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჟან კასტექსმა განაცხადა.

პრემიერის განმარტებით, პირბადესთან დაკავშირებული შეზღუდვა ხვალიდან, 17 ივნისიდან, ღამის კომენდანტის საათი კი კვირიდან გაუქმდება.

საფრანგეთში ყოველდღიურად, საშუალოდ, ინფიცირების 3.900 შემთხვევა ფიქსირდება.

ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის 58%-ს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის, სულ მცირე, ერთი დოზა აქვს გაკეთებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

კასპერ ჰიულმანდი: „ფინეთთან ძალით გვათამაშეს“

დანიის ნაკრების ფეხბურთელის, კრისტიან ერიკსენის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კასპერ ჰიულმანდმა ისაუბრა. სკანდინავიელთა თავკაცმა განაცხადა, რომ ერიკსენს ბელგიასთან ვერ შეცვლიან, რადგან ის შეუცვლელია.

ჰიულმანდმა უფრო მთავარი რამ თქვა – უეფამ მათ ფინეთთან თამაში აიძულა და სწორი იქნებოდა, რომ სხვა გადაწყვეტილება მიეღოთ.

კასპერ ჰიულმანდი:

– არ იყო სწორი არჩევანს შორის დაყენება, გვეთამაშა იმ დღესვე თუ მეორე დღეს. არც ისაა სწორი, რომ თამაში ჩვენი სურვილით მოვითხოვეთ, – ასე არ ყოფილა. პროტოკოლი გადასახედია. იქ წერია, რომ კორონავირუსის გამო 48 საათი გვექნებოდა დრო, ახლა კი, გულის გაჩერების გამო დრო არ გვქონდა. სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა, სახლში გავეშვით. იმედი მაქვს, რომ ეს სიტუაცია მომავალში გაკვეთილისთვის გამოდგება.

ერიკსენთან უკვე მთელი გუნდი საუბრობს, მათ შორის მეც. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა მისი ღიმილის დანახვა და იმის გაგება, რომ ექიმები კარგ პასუხებს იძლევიან. როგორ შევცვლით ბელგიასთან? კრისტიანის შეცვლა შეუძლებელია, რადგან საუკეთესოა.

შეგახსენებთ, კრისტიან ერიკსენს ფინეთთან მატჩის დროს გული გაუჩერდა. პირველად დახმარება ადგილზე გაუწიეს, შემდეგ კი, კოპენჰაგენის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს. დანიელი ნახევარმცველი ამჟამად თავს კარგად გრძნობს და გულშემატკივრებს სოციალური ქსელითაც ეხმიანება.

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები შესარჩევისთვის იბრძვის

თბილისში დაიწყო ერთა თასის გათამაშება, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც არის. საქართველოს დედაქალაქში თავი ექვსმა გუნდმა მოიყარა, რომელთაგან სამეულში მომდევნო ეტაპზე გადავა.

ჩვენმა ნაკრებმა ტურნირი კარგად დაიწყო, 2 მატჩი უკვე მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

პირველ შეხვედრაში საქართველომ აზერბაიჯანი 36:16 დაამარცხა. მატჩის საუკეთესო ხელბურთელი ირაკლი კბილაშვილი გახდა, რომელმაც მეზობლებს 12 გოლი გაუტანა. მეორე შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა მოლდოვას 27:20 მოუგო. აქ საუკეთესო უკვე გიორგი ცხოვრებაძე იყო, ვის ანგარიშზე 10 გატანილი ბურთი დაგროვდა. დიდი ალბათობით, 18 ივნისს საქართველო ბულგარეთის ნაკრებს შეხვდება. ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის 19 ივნისს არის ჩანიშნული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

ქალმა ტყუპისცალი ნიანგისგან იხსნა

ინგლისის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ სანდჰერსტის მკვიდრი საავადმყოფოში სიცოცხლისთვის იბრძვის მას შემდეგ, რაც ის ტყუპისცალმა დამ ნიანგის ყბებისგან დაიხსნა.

მიმდინარე წლის მარტში 28 წლის მელისა ლორი ტყუპისცალ დასთან ჯორჯიასთან ერთად მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ გაემგზავრა.

მაისის ბოლოს ისინი მექსიკაში ჩავიდნენ და ტურისტების ჯგუფთან ერთად ღამით კურორტ პუერტო-ესკონდიდოდან 16 კილომეტრში ნავიდან ბიოლუმინისცირებულ წყალში ჩასაყვინთად წავიდნენ.

მოულოდნელად მელისას თავს ნიანგი დაესხა და წყალში ჩაითრია. ჯორჯიამ დის ყვირილი გაიგონა და დასახმარებლად წყალში გადაეშვა. მალე მან შენიშნა, რომ მელისა წყალზე პირქვე ტივტივებდა და მისი ნაპირზე ათრევა ცადა.

მაგრამ ამ დროს რეპტილია ისევ დაესხა ქალს თავს. ჯორჯიამ რამდენიმეჯერ ჩასცხო თავში ნიანგს და დასთან ერთად ნავამდე მიცურა. დაშავებული სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დების დედის სიუ ლორის თქმით, მელისას ფილტვებში წყალი ედგა და სისხლს ამოახველებდა. ექიმებმა ის ხელოვნურ უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს. გადარჩება თუ არა ბრიტანელი, უცნობია. დედის თქმით, ორივე დას ამ ინციდენტის შედეგად საშინელი ნაიარევები დარჩა.

საზოგადოება

გია ჯაჯანიძე: „ილუზია „მაკიაჟია“ სიმახინჯის და უბედურების დასაფარავად“

ფსიქოლოგი და ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე ამტკიცებს, რომ ილუზია „მაკიაჟია“ სიმახინჯის და უბედურების დასაფარავად:

– როცა საკუთარ თავში ჩაიხედავ და მიხვდები, სინამდვილეში ვინ ხარ, მაშინ შენ შეგიძლია განკურნო შენი სული და სხეული.

როცა შეძლებ, არ მოატყუო საკუთარ თავს და უთხრა სიმართლე, ვინ ხარ შენ, მიხვდები, როგორ დააღწიო თავი მარტოობას.

ბევრი წარმატებულია უბედური, რადგან არასწორი გზით მიიღო წარმატება.

წესით, წარმატებული ადამიანი გონიერი, ჭკვიანი და წინდახედული უნდა იყოს. მაშინ რატომ განიცდიან კრახს და რატომ ისპობს კარიერას ზოგიერთი „წარმატებული.“ მტერი და მოშურნე ვერაფერს დაგაკლებს, შენ თუ არ მისცემ საშუალებას, გაგანადგუროს.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც შექმნიან მტრის ხატს, მოშურნეს, არა კეთილ მოსურნეს და მათ ჯინაზე, ჯიბრზე არიან „ბედნიერები“. ბედნიერება სულშია.

ბედნიერებაა, როცა შენ გამო არავინ არ დატანჯულა, ბედნიერებაა, როცა შენი არ ეშინიათ.

ბედნიერებაა, როცა სულის მესაიდუმლე გყავს.

ბედნიერებაა, როცა ვინმეს არ ბაძავ.

ბედნიერებაა, როცა არ გგონია, განსხვავებული ხარ.

ბედნიერებაა, როცა პატივს გცემენ და შენი გული უყვართ.

უთვალავი ბედნიერებაა, რომელიც სხივებად შემოდის სულსა და გულში, თუ ამას იმსახურებ.

შინაგანი და გარეგანი აგრესია სპობს ყოველგვარ ბედნიერებას.

ნუ იქნები ბედნიერი სხვის ჯიბრზე და ჯინაზე.

იყავი ბედნიერი შენთვის და შეეცადე სხვაც გააბედნიერო.

ხშირად უბედურები, უბედურებს ასწავლიან ბედნიერებას.

ილუზია „მაკიაჟია“ სიმახინჯის და უბედურების დასაფარავად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უცნაური არსება მეთევზეს ნავში ჩაუხტა და შეაშინა

კანადელს, რომელიც ნავით სათევზაოდ იყო წასული, ნავში უცნაური არსება ჩაუხტა და შეაშინა.

ბობი სპროვიერი კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ ენდერბის სანაპიროს სიახლოვეს თევზაობდა, როდესაც მის ნავზე წყლიდან უცნაური არსება აძვრა. მამაკაცმა მაშინვე დაიწყო მისი მობილური ტელეფონის კამერით გადაღება.

მოგვიანებით სპროვერმა მისი გამოსახულება სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა თხოვნით, ვინმეს ამოეცნო, თუ რა არსებასთან ჰქონდა საქმე.

– კიბორჩხალის, კუს, ხოჭოსა და უცხოპლანეტელის ნაჯვარს ჰგავს, – დაწერა მამაკაცმა ფოტოსურათის კომენტარში.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მეთევზის ნავში უზარმაზარი წყლის ტკიპა აღმოჩნდა. ეს არსება მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნებისმიერი წყალსატევის ბინადარია, ხოლო მისი ნაკბენი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულად ითვლება მწერებს შორის.

ალიგატორმა პოლიციელებს ცხედარი ააცალა და მკვლელობის გამოძიებას ხელი შეუშალა

ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ალიგატორმა გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი მიისაკუთრა და სამართალდამცავებს მკვლელობის გამოძიებაში ხელი შეუშალა.

პოლიციელები და მეხანძრეები მდინარესთან მას შემდეგ მივიდნენ, რაც მოსახლეობისგან შეტყობინება მიიღეს, რომ წყალში ცხედარი შენიშნეს. მათ მითითებული ადგილი დაათვალიერეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ ადგილზე მისვლამდე მცირე ხნით ადრე ცხედარს გარშემო ალიგატორი უტრიალებდა. ერთ-ერთმა თვითმხილველმა რეპტილია ვიდეოზე გადაიღო.

მეორე დღეს მეხანძრეები ადგილზე დაბრუნდნენ და ძებნა განაგრძეს. ამჯერად მათ ცხედარს მიაგნეს, რის შემდეგაც ის ექსპერტიზაზე გადაიტანეს. მათი მტკიცებით, ცხედარს ალიგატორის ზემოქმედების კვალი არ ეტყობა.

ვეშაპის მიერ გადაყლაპული მყვინთავი ცოცხალი გადარჩა

ამერიკელი მყვინთავი ვეშაპმა გადაყლაპა, თუმცა, ამის მიუხედავად, ცოცხალი გადარჩა. საკუთარ თავგადასავალზე ის ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას ესაუბრა.

11 ივნისის დილას მამაკაცი სანანპიროს სიახლოვეს ატლანტის ოკეანეში ლობსტერებს იჭერდა, როდესაც მოულოდნელად სრულ წყვდიადში აღმოჩნდა.

– მოულოდნელად ძლიერი ბიძგი ვიგრძენი და შემდეგ სრულმა წყვდიადმა დაისადგურა. ვგრძნობდი, რომ ვმოძრაობდი და ვეშაპი კუნთების დახმარებით შიგნით მიბიძგებდა, – განაცხადა პაკარდმა საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ.

თავდაპირველად პაკარდმა იფიქრა, რომ მას თავს ზვიგენი დაესხა, მაგრამ, როდესაც კბილები ვერ დაინახა და მიხვდა, რომ სერიოზული დაზიანებები არ მიუღია, დარწმუნდა, რომ ვეშაპის ყბებში იმყოფებოდა.

– მთლიანად მის შიგნით ვიყავი, სრული სიბნელე იყო. ვიფიქრე, რომ იქიდან თავის დაღწევის არანაირი შანსი არ მქონდა, მორჩა, მკვდარი ვიყავი, – განაცხადა ამერიკელმა.

შემდეგ მყვინთავმა ვეშაპის პირში აქტიურად მოძრაობა დაიწყო. ვეშაპმა წყლის ზედაპირზე ამოყვინთა, თავი გააქნია და ადამიანი უკან ამოანთხია. ამერიკელის შეფასებით, მან ვეშაპის პირში დაახლოებით ნახევარი წუთი გაატარა.

პაკარდის მეწყვილემ ის წყლის ზედაპირზე შენიშნა, ნავში აიყვანა და ნაპირზე გადაიყვანა. მყვინთავი ადგილობრივ საავადმყოფოში დააწვინეს. ექიმებმა მას სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს და რამდენიმე საათის შემდეგ საავადმყოფოდან გაწერეს.

ქალმა მეგობარი ქალი თვალის წვეთებით მოწამლა და ფული მოჰპარა

ამერიკის ვისკონსინის შტატის ქალაქ უოკეშის მცხოვრებ 37 წლის ქალს ავადმყოფი მეგობრის თვალის წვეთებით მოწამვლა დასდეს ბრალად. ერთ-ერთი ადგილობრივ გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეჭვმიტანილმა გარდაცვლილის ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე ასობით ათასი დოლარი გადარიცხა.

ჯესი რ.კუჩევსკი დედასთან ერთად უვლიდა მეგობარს, რომლის ვინაობა არ სახელდება. ქალი უცნობი დაავადებით იტანჯებოდა და მას მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდებოდა.

2018 წლის 3 ოქტომბერს კუჩევსკიმ მეგობრის სახლის მისამართზე პოლიცია გამოიძახა და მათ შეატყობინა, რომ ავადმყოფი უგონო მდგომარეობაში ნახა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს სავარძელში მჯდომი გარდაცვლილი გოგონა, რომელსაც მკერდზე დაფხვნილი წამალი ეყარა და ასევე გვერდით რამდენიმე წამალი ეყარა.

ქალმა პოლიციას განუცხადა, რომ შესაძლოა, გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდა ამისა, კუჩევსკიმ მათ განუცხადა, რომ ის გარდაცვლილის ერთადერთი მეგობარი და ასევე მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო.

თავდაპირველად პოლიციამ ქალის ვერსია გაიზიარა, მაგრამ გარდაცვლილის გაკვეთისა და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევის შედეგებმა გამოძიება დააეჭვა. გოგონას სისხლში ისეთი ნივთიერების დიდი შემცველობა აღმოჩნდა, რომელიც თვალის წვეთებში გამოიყენება. ისინი უსაფრთხოა თვალში ჩასაწვეთებლად, მაგრამ მომწამვლელია შინაგანი ორგანოებისთვის.

როდესაც კუჩევსკის ტოქსიკოლოგიური ანალიზის შედეგები აცნობეს, მან განაცხადა, რომ მისი მეგობარი თვალის წვეთებს ყიდულობდა და შემდეგ არაყთან ერთად მოიხმარდა.

მოგვიანებით ეჭვმიტანილმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ მან მეგობარს მისივე თხოვნით მისცა წყლიანი ბოთლი, რომელიც დიდი ოდენობით თვალის წვეთებს შეიცავდა და ამის მტკიცებულებაც გააჩნდა, თუმცა პოლიციამ ვერანაირი მტკიცებულება ვერ აღმოაჩინა. მკვლელობის ბრალდების გარდა, კუჩევსკის დაღუპულის ანგარიშიდან 290 ათასი დოლარის მითვისების ბრალდებაც წაუყენეს. ამ დროისთვის ქალი უოკეშის საოლქო ციხეში იმყოფება საქმის სასამართლო მოსმენის მოლოდინში, რომელიც მიმდინარე წლის 25 ივნისს შედგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ბასილაშვილმა სიმონს მოუგო

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი გერმანიის ქალაქ ჰალეში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 1.455.925 ევროა, ძირითადი ბადის პირველი რაუნდში ფრანგ ჟილ სიმონს გაეჯიბრა და 36 წლის მეტოქეს 2-საათიან თამაშში 6:1, 3:6, 6:4 სძლია.

ბასილაშვილმა ჰალეს ტურნირი კვალიფიკაციიდან დაიწყო, სადაც 2 მეტოქეს აჯობა, მერვედფინალში მისი მეტოქე ასევე კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებული ფრანგი არტურ რინდერკნიხი ან გერმანელი იანიკ ჰანფმანი იქნება.

ქართულ გუნდებს შორეული მეტოქეები დაულაგეს

შვეიცარიის ქალაქ ნიონში უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა და ევროტურნირებზე მონაწილე ქართული გუნდების სავარაუდო მეტოქეები გაირკვა.

თუ კახა ცხადაძის გაწვრთნილი თბილისის დინამო პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაქოს ნეფთჩის დაამარცხებს, შემდეგ მეტოქედ ბერძნული ოლიმპიაკოსი ელოდება.

პირველი მატჩი 20-21 ივლისს პირეოსში გაიმართება, ხოლო საპასუხო მატჩს თბილისი ან ბაქო უმასპინძლებს.

გაირკვა სამივე ქართული კლუბის შესაძლო მეტოქე კონფერენციის ლიგაზეც.

თუ ბათუმის დინამო სან მარინოს ტრე პენეს დაამარცხებს, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბორისოვის ბატეს შეხვდება.

თუ გაგრა მონტენეგროს სუტიესკას ორი მატჩის ჯამში გაივლის, მისი მეტოქე თელ ავივის მაკაბი იქნება.

გორის დილას კი, სლოვაკური ჟილინას ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიმასოლის აპოლონი ელოდება.

კონფერენციის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 22 და 29 ივლისს გაიმართება. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 8 და 15 ივლისსა დაგეგმილი.

ტოკიოს ოლიმპიადისთვის საქართველოს 19 ლიცენზია აქვს

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადასტურა, რომ სადღესასოდ, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას 19 ქართველი სპორტსმენი ფლობს.

მათი სია ასე გამოიყურება:

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა); ავთანდილ კენჭაძე, ელიზბარ ოდიკაძე, გენო პეტრიაშვილი (ყველა თავისუფალი ჭიდაობა); რამაზ ზოიძე, ლაშა გობაძე, გიორგი მელია, იაკობ ქაჯაია (ყველა ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); გიორგი მუჯარიძე (ბირთვის კვრა), ლაშა ღულელაური (სამხტომი), სახილ ალახვერდოვი, ესკერხან მადიევი, გიორგი ხარაბაძე (ყველა კრივი); სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა); ლაშა ტალახაძე, ანტონ პლესნოი, შოთა მიშველიძე, გოგა ჩხეიძე (ყველა ძალოსნობა); გოგიტა არქანია (კარატე).

მიმდინარე რეიტინგის და სპორტული შედეგების მიხედვით, ახლო მომავალში ქართველ ოლიმპიურ ლიცენზიანტთა რიგებს ძიუდოს, ჩოგბურთის, ტანვარჯიშის და კიდევ რამდენიმე სპორტის სახეობის წარმომადგენლები დაემატებიან.

ლერი ხაბელოვი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

– ოლიმპიადის დაწყებამდე სულ მცირე დრო რჩება, ამდენად, მზადება დასკვნით ფაზაში გადადის. იმედი გვაქვს, რომ ლიცენზიანტთა რიცხვი დაახლოებით 30-მდე გაიზრდება. იგივე ძიუდოში ყველა წონაში გვაქვს ლიცენზია, მაგრამ დადასტურებულად ჯერ არ მოსულა. ასეთივე სიტუაცია გვაქვს კიდევ რამდენიმე სპორტსმენთან დაკავშირებით. ცხადია, მთავარი მაინც შედეგები იქნება და გვინდა, უკეთესად გამოვიდეთ, ვიდრე – რიო დე ჟანეიროში. შემიძლია გითხრათ, რომ ოლიმპიური თამაშების ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება, ყველანაირი გარანტია მიღებული გვაქვს. ვვარაუდობთ, რომ კოვიდ-პანდემიის გამო, სპორტსმენთა დაახლოებით ნახევარი აიცრება. თავის მხრივ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტმა გვაცნობა, რომ მონაწილეთა 80% აცრილი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულის 32-ე ოლიმპიური თამაშები იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში 23 ივლისიდან 8 აგვისტომდე პერიოდში ჩატარდება. მოსალოდნელია, რომ მონაწილეობას 205-მდე ქვეყნის დაახლოებით 11.000 სპორტსმენი მიიღებს.

ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის გაცილების და ოლიმპიელთა ფიცის დადების ცერემონია 2021 წლის 14 ივლისს გაიმართება.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

საფრანგეთმა გერმანია დაამარცხა, რონალდუმ რეკორდები დაამყარა

საფრანგეთი-გერმანია 1:0

მიუნხენი. ალიან არენა

1:0 ჰუმელსი (20, სკ)

საფრანგეთი: ლორისი, პავარი, ვარანი, კიმპემბე, ერნანდესი, რაბიო (უ.დემბელე 90), კანტე, პოგბა, ბენზემა (ტოლისო 89), გრიზმანი, მბაპე

გერმანია: ნოიერი, გინტერი (ჯანი 87), ჰუმელსი, რუდიგერი, კიმიხი, გუნდოგანი, კროოსი, გოზენსი (ფოლანდი 88) , ჰავერტცი (სანე 74), გნაბრი (ვერნერი 74), მიულერი

ძალიან დაძაბული გამოდგა, რომელშიც საფრანგეთის ნაკრებმა საჩემპიონო სტილში დაამარცხა გერმანია – 1:0.

ფრანგები უფრო პრაგმატული და შედეგზე გათვლილი თამაშით სჯობდნენ მეტოქეს. თუმცა, ცოტა გაუმართლათ კიდეც, როდესაც მატს ჰუმელსმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ასე დაწინაურდნენ. მანამდე თამაში თანაბარი იყო.

ამის შემდეგ დიდიე დეშამის გუნდი მთლიანად კონტრშეტევებზე გადაეწყო. ეს გასაკვირიც არ იყო – მათი ფეხმარდი გარემარბების, განსაკუთრებით კი, კილიან მბაპეს წყალობით, მშვენივრად გამოსდიოდათ. რაბიომ ძელს გაარტყა, მბაპეს და ბენზემას გოლები არ ჩაითვალა... ეს ყველაფერი კონტრშეტევებზე.

გერმანელებმა მხოლოდ მეორე ტაიმის 15 წუთი ჩაატარეს კარგად, მაგრამ ფრანგებმა მშვენივრად გაუძლეს და ევროპირველობა 3 ქულით გახსნეს. ამდენივე ქულა აქვს პორტუგალიასაც, მაგრამ ბურთების (3:0) უკეთესი სხვაობით, წინაა. გერმანია და უნგრეთი უქულოდ არიან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – პოლ პოგბა

მშვენივრად ითამაშა დაცვითი ფუნქციების შესრულებისას და ცენტრში გამორჩეული ფიგურა იყო. გარდა ამისა, შეტევებში კარგად გამოიყურებოდა და ორიგინალურ გაგრძელებებს პოულობდა.

უნგრეთი-პორტუგალია 0:3

ბუდაპეშტი. პუშკაშ არენა

0:1 გერეირო (84), 0:2, 0:3 რონალდუ (86, 90)

უნგრეთი: გულაჩი, ბოტკა, ორბანი, ატილა სალაი, ლოვრენჩიჩი, კლაინჰაისლერი (შიგერი 78), ნადი, შაფერი (ნედო 64), ფიოლა (ვარგა 88), ადამ სალაი, შალაი (შიონი 77)

პორტუგალია: პატრისიო, სემედუ, პეპე, დიაში, გერეირო, დანილო, კარვალიო (სანჩეში 81), ბ.სილვა (რ.სილვა 71), ფერნანდეში (მოუტინიო 89), ჟოტა (ა.სილვა 82), რონალდუ

პორტუგალიამ მძიმედ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. ამ მატჩში ანგარიშში სხვაობა ბევრის მთქმელი არ არის. მადიარები დიდი ხნის მანძილზე ტოლ-სწორად ეთამაშებოდნენ ფავორიტებს და წაგების მიუხედავად, გულშემატკივარი არ გააწბილეს.

84 წუთი გაუძლეს უნგრელებმა შეტევებს და კონტრშეტევებზეც სწრაფად და კარგად გადადიოდნენ. მე-80 წუთზე ტომას შაინმა გოლიც გაიტანა, მაგრამ საქმეში გვერდითი მსაჯი ჩაერთო და თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირა.

შემდეგ პორტუგალიელთათვის საქმეში ცოტა იღბალიც ჩაერთო. პირველი გოლი პორტუგალიამ მათთვის სასურველი 2 რიკოშეტის შემდეგ გაიტანა. ეს რაფა სილვამ გააკეთა, რომელმაც 2 წუთში უკვე პენალტი „აიკიდა“, რომელიც 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა კრისტიანუ რონალდუმ. ეს პორტუგალიელის მე-10 გოლი გამოდგა ევროპის ჩემპიონატზე, რითიც ლეგენდარულ მიშელ პლატინის გადაასწრო და ახლა „ბებერი კონტინენტის“ საუკეთესო მეგოლეა.

რონალდუ ამაზე არ გაჩერდა და ბოლო წუთზე კიდევ ერთი გოლი გაიტანა და მატჩის საბოლოო ანგარიში დაა-ფიქსირა.

კრისტიანუმ ამ მატჩში კიდევ 2 რეკორდი დაამყარა: გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და ვინც ხუთივე ჩემპიონატში გოლი გაიტანა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რაფა სილვა

მოედანზე დიდი დრო არ დაუყვია, მაგრამ შეცვლაზე შესვლიდან 15 წუთში თამაში „გააკეთა“. გაიტანა გოლი და მოიპოვა პენალტი, რომელიც რონალდუმ გაიტანა.

ლევან კაკუბავა: „შუბითიძეს ბევრი ახალი იდეა აქვს“

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე დასასრულს უახლოვდება და საბურთალო მეოთხე ადგილზე იმყოფება. ესეც იმიტომ, რომ ქობულეთის შუქურასთან ქულები დაკარგა. შესაძლოა, არც დაეკარგა, მსაჯებს მათთვის 2 გოლი რომ არ გაეუქმებინათ. სხვათა შორის, მიმდინარე ჩემპიონატში საბურთალოს საწინააღმდეგოდ ხშირად შეცდნენ. რომ არა ეს შეცდომები, დედაქალაქური გუნდი, შესაძლოა, საჩემპიონო ბრძოლაში უფრო თამამად ჩარეულიყო.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, კაპიტანი ლევან კაკუბავაა, რომელიც ქართულ ფეხბურთში დიდი ხანია თამაშობს და საკმაოდ გამოცდილია.

– მე-2 წრე დასასრულს უახლოვდება. როგორ მიმდინარეობს ჩემპიონატი?

– მთლიანობაში დაძაბული პირველობაა, რამდენიმე გუნდი იბრძვის მაღალი მიზნებისთვის. გათამაშების ცხრილის ქვედა ნაწილშიც დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, ჯერ ადრეა საუბარი, ვინ ჩემპიონი გახდება, ვინ გავა ევროტურნირებზე და ვინ დატოვებს უძლიერესთა რიგებს.

– წლეულს საბურთალო ახალი გუნდია, 11 ახალწვეული ჰყავს. ბევრი ფიქრობდა, რომ ამ სეზონში გუნდს გაუჭირდებოდა. თუმცა, საბურთალო ცხრილის ზედა პოზიციებზე იმყოფება. რის ხარჯზე ახერხებს ამას?

– საბურთალოს მთავარი პლუსი გუნდურობა და ერთი მიზნისკენ სწრაფვაა როგორც გუნდის, ასევე ხელმძღვანელების მხრიდან. აქედან გამომდინარე, საბურთალოს აქვს თავის ხედვა და სწრაფვა, რასაც ბოლო წლებში აჩვენებს კლუბი.

– ახალი მწვრთნელია ხვიჩა შუბითიძე. რამდენად მალე შედგა მისი ბოლომდე კომუნიკაცია გუნდთან?

– გუნდი და მწვრთნელი ჯერ კიდევ გაცნობით ფაზაში ვართ. ბევრი ახალი იდეა, ტაქტიკა და მიდგომა შეემატა ჩვენს გუნდს, მაგრამ ეს დისკომფორტს ნამდვილად არ ქმნის. პირიქით, საინტერესოა და გუნდი ცდილობს, რაც შეიძლება მალე აითვისოს ეს ყველაფერი.

– ახლა საბურთალოს 28 ქულა აქვს, მაგრამ უფრო მეტის მოპოვება შეიძლებოდა. რეალურად, რა შეუძლია გუნდს როგორც ჩემპიონატში, ასევე თასზე?

– დღევანდელი გადმოსახედიდან 28 ქულა ცოტა არ არის, მაგრამ მგონია, რომ უფრო მეტის მოპოვება ნამდვილად შეგვეძლო და შეგვიძლია კიდევაც. ყველაფერი ჩვენს ხელშია, გუნდი ყოველდღიურად პროგრესირებს და მზადაა ყველა თამაშზე 3 ქულისთვის იბრძოლოს.

– საბურთალოში ბევრი ფეხბურთელია, ვინც სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობს. როგორი თაობა ეზრდება კლუბს?

– გუნდს ნამდვილად ჰყავს ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ და ნამდვილად შეუძლიათ მაღალ დონეზე თამაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარი შრომაა და, რა თქმა უნდა, ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს; 2. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 3. ავსტრალიური თუთიყუში; 4. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 14. სქელი მურაბა; 16. საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ისტორიული ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „დონკიხოტის“ მუსიკის ავტორი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

თარაზულად: 6. ქართული ინფექციონისტი ქალი, პროფესორი; 7. აშშ-ში გავრცელებული კატისებრთა ოჯახის ცხოველი; 8. უბანი თბილისში; 9. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 10. თვითმფრინავთმშენებლობის ცენტრი ინგლისში; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. ძრავიანი ველოსიპედი; 23. წალკის ძველი ქართული სახელწოდება; 24. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე.

შეადგინა თ.გოგინა შვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ჰიტი; 2. დელტა; 3. იმოლა; 4. ჰაიტი; 5. ლოკალი; 6. კუბელიკი; 8. ივანიშვილი; 10. ლატიფუნდია; 11. ტარანტინო; 14. ვინილი; 15. ორბანი; 16. სქემა.

თარაზულად: 1. ჰაიდუკი; 4. ჰელსინკი; 7. ტესლა; 9. წაბლი; 12. ციცარი; 13. ფარჩა; 14. გეტელი; 17. ტვისტი; 18. ინდულგენცია; 19. ლიპტონი; 20. ხარები.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ჭაშნაგირი; 2. აზურიტი; 3. კაბუკი; 4. ბახში; 5. ალგეთი; 11. დოკერი; 12. ტაპირი; 14. ქოცო; 16. ნიაგარა; 17. იმპულსი; 19. სევილია; 21. შოუდუ; 22. კათხა.

თარაზულად: 6. მალვაზია; 7. გრანელი; 8. შპრეე; 9. ტაიბეი; 10. კლოდი; 13. ჭრაქი; 15. ანტვერპენი; 18. ფიპრესი; 20. მუცო; 21. შირაქი; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1657

ევრო — 3.8356

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4674

100 რუსული რუბლი — 4.3968

ამინდის პროგნოზი 17 ივნისისათვის

მემფის დეპაიმ ბარსელონაზე ისაუბრა

ჰოლანდიის ნაკრების ლიდერმა მემფის დეპაიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბარსელონაში თამაშს აპირებს და ამის შესახებ მალე ოფიციალურად ცნობილი გახდება. დეპაის აზრით, ბარსელონაში გადასვლა მისი კარიერისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება:

– მალე გულშემატკივარი ყველაფერს გაიგებს და მინდა, რომ ბარსელონაში გავაგრძელო კარიერა და რონალდ კუმანთან ვიმუშაო. ეს არავისთვის საიდუმლო არ არის.

მორატა იუვენტუსში რჩება



ტურინის იუვენტუსის ესპანელი ფორვარდი ალვარო მორატა გუნდიდან არ წავა და მალე ის ახალ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება გაიზრდება.

მორატას წასვლის შესახებ ინფორმაცია ხშირად ვრცელდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ჭორი აღმოჩნდა. მორატამ განაცხადა, რომ ის იუვენტუსში ბედნიერია და სხვა გუნდის მოძებნას ჯერჯერობით არ აპირებს.

ბარსელონას ემერიკ ლაპორტის ყიდვა სურს

ბარსელონა მანჩესტერ სიტის ცენტრალური მცველით ემერიკ ლაპორტით არის დაინტერესებული და შესაძლოა ეს ტრანსფერი შედგეს, რადგან ლაპორტმა სიტის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ის თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა.

ლაპორტს გვარდიოლასთანაც დაეძაბა ურთიერთობა და ამის გამო მას სიტის დატოვება სურს.

მისი ტრანსფერი ბარსელონას მინიმუმ 40 მილიონი ევრო დაუჯდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

სკოლის დირექტორმა კლასში ახალი ახალგაზრდა მასწავლებელი შეიყვანა და მოსწავლეებს მიმართა:

– აი, ბავშვებო, ეს იქნება თქვენი ახალი მასწავლებელი. იმედია, მოგეწონებათ.

ამ დროს გიგიმ წამოიძახა:

– ფიგურა კარგი აქვს.

– თავად შევარჩიე! – ამაყად უპასუხა დირექტორმა.

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, 500 ლარი მჭირდება სპა-სალონისთვის!

– ქალო, მოგვიანებით გადმოგირეკავ, ახლა საგინებლად არ მცალია!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ამ ბოლო დროს ჩვენს მეზობელ ნინას ყოველ შეხვედრაზე ეღიმება...

– მერე რა?

– მერე ის, რომ თუ გავიგე, რომ შენ გამო ეღიმება, მაშინ ჩვენი სადარბაზოს ყველა მამაკაცს შენ დანახვაზე გაეღიმება!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენს ქმარს თვალი რატომ აქვს ჩალურჯებული?

– რატომ და გუშინ სამსახურიდან მოსული მეუბნება, გინდა თუ არა, კარტოფილი შემიწვიო, ამ დროს კი მთელი ქვაბი ჩახოხბილი, კატლეტები და ხაჭაპურები მქონდა მომზადებული...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანზორ ერქომაიშვილის მუსიკალური დისკები საჯაროა

ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის მიერ შედგენილი მუსიკალური დისკები საჯაროა. მათი წარდგენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა.

გიორგი კეკელიძე:

– ანზორ ერქომაიშვილის მეუღლესთან, ლალი სეთურიძესთან ერთად, ფოლკლორის დარბაზში, რომელსაც სწორედ დიდი ხელოვანის სახელი მიენიჭა, სიმბოლურად ანზორ ერქომაიშვილის მიერ შედგენილი მუსიკალური დისკები წარმოვადგინეთ.

ლევან კოღუაშვილის ფილმის პრემიერა ტრიბეკას ფესტივალზე შედგა

ნიუ იორკში ტრიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმის „მეოთხე ბარიტონი“ პრემიერა გაიმართა.

ფილმში კახი კავსაძე მონაწილეობს და ეს მისი უკანასკნელი როლია. ფილმში მისი შვილი ირაკლი კავსაძეც მონაწილეობს.

ლევან კოღუაშვილის ნამუშევარში ასევე დაკავებული არიან გიო ტაბიძე, ლევან თედიაშვილი და ცუცა კაპანაძე.

რეჟისორის ფილმი ქართველებისთვის ერთ-ერთ მტკივნეულ თემაზეა – სურათი ემიგრანტებს ეძღვნებათ.

„მეოთხე ბრაიტონი“ ლევან კოღუაშვილის მესამე სრულმეტრაჟიანი ფილმია. ის საერთაშორისო კინოფესტივალების სასურველი სტუმარია. ლევანის სადებიუტო ფილმის „ქუჩის დღეების“ პრემიერა როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, „შემთხვევითი პაემნების“ პრემიერა კი – ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ჟირაფი ჟოზეს უნებართვო გამოყენებაზე კონტროლი მკაცრდება

პატარებისთვის ერთ-ერთი საყვარელი გმირის, ჟირაფი ჟოზეს გამოყენებაზე კონტროლი მკაცრდება.

გიორგი მარშანია, ჟირაფი ჟოზეს შემქმნელი:

– უფრო და უფრო მკაცრდება კონტროლი ჟოზეს უნებართვო გამოყენებაზე.

სხვისი საკუთრების მითვისება ქურდობაა!

ქურდობა ცუდია და ისჯება კანონით!

„საკუთრება“ არის როგორც მატერიალური, ასევე ინტელექტუალური.

როდესაც ჟოზეს რაიმე პროდუქციას აკეთებთ და ამით ფულს შოულობთ,

ეს იგივეა, მაგალითად, მე რომ მოვიდე თქვენს სახლში და თქვენი ოთახი გავაქირავო.

ჟოზე ციური მანანა არ არის, ის რომ საყვარელია და ბევრ ადამიანს მოსწონს, ამისთვის ბევრი, ძალიან ნიჭიერი ადამიანი შრომობს და ხარჯავს უამრავ დროს და იხარჯება დიდი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსი.

პატივი ეცით სხვის შრომას! პატივი ეცით კანონებს!

კიმ კარდაშიანმა ლამბორჯინი ცხვრის ბეწვში გაახვია



ამერიკელმა მსახიობმა და ფოტომოდელმა კიმ კარდაშიანმა წარმოადგინა ლამბორჯინი ურუსი, რომელიც ერთიანად საგანგებოდ დამზადებული ცხვრის ბეწვითაა დაფარული. ავტომობილის ძარისა და სალონისთვის ბეწვის საფარის გაკეთება ნამდვილად არ დანანებიათ. ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ მაშუქები, მინები, საბურავები, სატერფულები, გადამრთველები, ხელსაწყოთა დაფა და საინფორმაციო-გასართობი სისტემები. უჩვეულო ფუმფულა ლამბორჯინი კარდაშიანის კუთვნილი ტანსაცმლის მწარმოებელი ბრენდის სარეკლამო კომპანიის ნაწილია.

კარდაშიანმა ფუმფულა ლამბორჯინის ფონზე მოაწყო ფოტოსესია და თავადაც იმავე ქსოვილის სამოსში იყო გამოწყობილი. ქალებისთვის განკუთვნილი ახალი კოლექციის გაყიდვები უახლოეს დღეებში დაიწყება და, სავარაუდოდ, ავტომობილი ერთ-ერთ კალიფორნიულ ბუტიკში მყიდველების მისაზიდად იქნება გამოყენებული.

„ბეწვიანი“ ლამბორჯინი საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურება და კარდაშიანის ეს ჩანაფიქრი უყურადღებოდ ნამდვილად არ დარჩენილა. უფრო მეტიც, ასეთი სახით გაფორმებულ ავტომობილს სრულიად თავისუფლად შეუძლია გზებზე გადაადგილება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

17 ივნისისათვის

ვერძი – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებასა და სულიერ სრულყოფას. შესაძლოა, გარშემომყოფებმა იმედი გაგიცრუონ. **კურო** – მიიღეთ მხოლოდ ჯანსაღი საკვები, დაკავდით სპორტით. ყურადღება გაამახვილეთ სულიერ სიმშვიდეზე. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მხრივ მცირეოდენი პრობლემებია მოსალოდნელი, სავარაუდოდ, მსუბუქი გაციება. დარჩით სახლში და გამოშუშდით. **ქირჩხიბი** – ნუ მიირთმევთ უხარისხო საკვებს. თქვენს რაციონში ხილი და ბოსტნეული უნდა ჭარბობდეს. **ლომი** – სამსახურში უფროსობასთან პატარა კონფლიქტი გელით. იყავით კეთილგონიერი და სიტუაციას ნუ გაამწვავებთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან და მეგობრებთან კავშირი განაახლეთ. შორსმიმავალ გეგმებს ნუ დაისახავთ. **მშვილდოსანი** – პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. რისკი გამართლებულია. ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **თხის რქა** – ილუზიებს არ აჰყვეთ. რეალობა საღად შეაფასეთ. უსარგებლო ფიქრებით გონებას ნუ გადაიტვირთავთ. **მერწყული** – აქტიურობა საჭირო არ არის. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. მთავარია, სულიერად მშვიდად იყოთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. შესაფერისი პერიოდია ძველი, დავიწყებული კავშირების აღსადგენად.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მოწითალო, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 2. ოპერა, „ნაბუქუდონოსორის“ კომპოზიტორი; 3. თვალის ფერადი გარსი; 4. ბაღჩეული ხილი; 5. თაღლითი ბანქოს თამაშში; 6. მჭერმეტყველების თეორია; 8. ქვეითი ჯარის ძველებური სახელწოდება; 10. ნაღვლიანი განწყობილება; 11. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი; 14. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 15. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. შაქრით, ჩაით და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

თარაზულად: 1. ხელოვნური წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 4. წყალში განზავებული ამიაკის ხსნარი; 7. მუზეუმი პარიზში; 9. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 12. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 13. მუზეუმი ფლორენციაში; 14. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 17. სატუსაღო ძველ თბილისში; 18. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 19. შექსპირის ტრაგედია; 20. იმრე კალმანის ოპერა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

მცხეთის სამთავროს ტაძრის დასავლეთ ფასადი მძიმე მდგომარეობაშია

მცხეთის სამთავროს ტაძრის დასავლეთ ფასადი მძიმე მდგომარეობაშია და რესტავრატორების დროულ რეაგირებას საჭიროებს.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე:

– მძიმე მდგომარეობაშია მცხეთის სამთავროს ტაძრის დასავლეთი ფასადის ცენტრალური სარკმელი: ფასადის თლილი ქვის ნაწილი დაძრული და მორყეულია, ხოლო ნაწილი უხეში სარემონტო საქმის შედეგად დასვრილია ცემენტის ხსნარის ნაღვენთებით.

საჭიროა ქვის რესტავრატორების მიერ მორყეული ქვების ხელახლა ჩასმა-გასწორება და დასვრილი მონაკვეთების სრულყოფილი გაწმენდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა